კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

დიმიტრი ბერძენიძე

მესხეთის მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების რესურსების კვლევა

ქართული მევენახეობა-მეღვინეობა

ნაშრომი შესრულებულია აგრარულ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ოლანი გოცირიძე,

ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში ეძღვნება მესხეთის, როგორც მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონის განვითარებისათვის საჭირო რესურსების კვლევას ისტორიულ, ტრადიციულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით. განხილულია ძველი მესხეთის მევენახეობა-მეღვინეობის მდიდარი ტრადიციები, ვენახების გაშენების უნიკალური ტერასული მეთოდები, აღწერილია ადგილობრივი თეთრი და წითელყურძნიანი ვაზის ჯიშები, ნიადაგი, კლიმატიური გარემო, ვაზის გავრცელებული დაავადებები და მათთან ბრძოლის ღონისძიებები.

მოცემულია თანამედროვე მესხეთის ეკოსისტემის ანალიზი დარგის განვითარების კონცეფციების შემუშავების თვალსაზრისით, იდენტიფიცირებულია ახალი მეურნეობების და მარნების წარმატებული ფუნქციონირების ხელშემწყობი და ხელშემშლელი პირობები, შეფასებულია სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების როლი .

ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა მესხეთის რეგიონში პერსპექტიული ვაზის ჯიშების გამოვლენას, მივიწყებული და დაკარგული ჯიშების აღდგენას, ადგილობრივი კლიმატური სპეციფიკის გათვალისწინებით ვენახის აგროტექნიკური ღონისძიებების შემუშავების აუცილებლობას, ვაზის ყინვისაგან დაცვის მეთოდების შემუშავებას.

 დამუშავებული მასალების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია გარკვეული ხასიათის რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას, მესხეთის ეკონომიკური პოტენციალის ზრდას, ტურიზმის განვითარებას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას.

The Development of Viticulture and Winemaking Resources of Research in Meskheti

Dimitri Berdzenidze

Annotation

In Master's thesis is considered, that after the division of historic and geographical regions it is evidence significant micro zones in the point of view. In the region of Meskheti are variety of natural condition for the development, which is necessary each arrangements of strategy, it needs the complex study of each micro zone, ecological and climatic signs identify of environment, separate of problem issues. To solve the ways of problems in the scientific research the important place is to care the vine in the right way.

It is considered how to choose the species of vine to protect the vine from the winter freeze. The aim of this of this work is the biological development of vine in micro-region of Meskheti and climatic conditions to acquaint the basic information, which increases the harvest of vine and assist the local species of vine to grow.

შინაარსი

ანოტაცია

Annotation

შესავალი 5

თემის აქტუალობა 5

კვლევის მიზანი 6

დასმული ამოცანების შინაარსი 6

კვლევისას გამოყენებული მეთოდები 7

ნაშრომის სტრუქტურა 8

თავი 1. მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციები მესხეთში 10

1.1. მევენახეობა ძველ მესხეთში 10

1.2. მესხური ვაზის ძველი ჯიშების აგრობიოლოგიური დახასიათება 13

1.3. მესხური თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშები 18

1.4. მესხური შავყურძნიანი ვაზის ჯიშები 32

თავი 2. მესხეთი - მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონი 46

2.1. მესხეთის რეგიონის ნიადაგის ტიპები 46

2.2. მესხეთის რეგიონის აგროკლიმატური დახასიათება 47

თავი 3. მევენახეობა-მეღვინეობა დღევანდელ მესხეთში 50

3.1. ახალი ტერასები და მარნები 50

3.2. პერსპექტიული ვაზის ჯიშები მესხეთის რეგიონისათვის 53

თავი 4. დასკვნები და რეკომენდაციები 56

გამოყენებული ლიტერატურა 61

შესავალი

თემის აქტუალობა

მესხეთი მევენახეობა-მეღვინეობის ერთ-ერთი უძველესი მხარეა. ცნობილია მისი მრავალფეროვანი მევენახეობა, აქაური ორიგინალური ვაზის გაშენების ტერასული მეთოდები, მრავალი ადგილობრივი ჯიში, რომლებისგანაც მიიღებოდა მაღალი ხარისხის ღვინოები.

დღეს ამ ისტორიული მემკვიდრეობიდან მხოლოდ უმცირესი ნაკვალევი - პრაქტიკულად მხოლოდ ისტორიული არტეფაქტები, მარნების და ვენახების ნაშთებია დარჩენილი. დაიკარგა ან გადაშენდა ბევრი ადგილობრივი ვაზის ჯიში.

საქართველოსთვის მევენახეობა-მეღვინეობა იყო, არის და დარჩება ეკონომიკის და კულტურის წამყვან დარგად. საერთაშორისო ბაზრების დივერსიფიკაციამ ახალი შესაძლებლობები გაუხსნა მას. იმ ფაქტმა, რომ მსოფლიოს წამყვანმა სამეცნიერო წრეებმა მრავალწლიანი კომპლექსური კვლევების საფუძველზე საქართველო აღიარა ვაზისა და ღვინის სამშობლოდ, განსაკუთრებულად გაზარდა ინტერესი ქართული ტრადიციული მეღვინეობის და უნიკალური ჯიშების მიმართ. სახელმწიფოს მიერ სწორი სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრამ და მხარდაჭერამ ხელი შეუწყო ღვინის ინდუსტრიაში მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებას, კერძო სექტორის განვითარებას, ქართული ვაზისა და ღვინის პოპულარიზაციას.

სამწუხაროდ, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ამ დინამიურ პროცესს მესხეთის რეგიონმა ფეხი ვერ აუწყო. ცალკეული გამონაკლისების გარდა ამ მხარეში ძალიან ბევრი რამ ნულიდანაა დასაწყები.

ამ თვალსაზრისით მესხეთის მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონის განვითარების გეგმის შემუშავება, პოტენციური რესურსების გამოვლენა და მათი რეალიზების რაციონალური გზების მოძიება აქტუალური და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხია. გასათვალისწინებელია ის გარემოებებიც, რომ არსებული მონაცემები მწირია, თანაც მოძველებული და განახლებას მოითხოვს.

ვფიქრობთ, რომ წინამდებარე ნაშრომში თავმოყრილი მასალა იქნება მცდელობა, მოახდინოს კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემების სისტემატიზაცია პრიორიტეტული და გადაუდებელი საკითხების გამოკვეთით. ამასთან იგი წაადგება აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ პირებს.

კვლევის მიზანი

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით მიზნად დავისახეთ:

შეძლებისდაგვარად შეგვეკრიბა არსებული ისტორიული და სამეცნიერო - კვლევითი მასალები მესხეთის რეგიონის მევენახეობა-მეღვინეობის დღეისათვის არსებული მდგომარეობის და განვითარების პოტენციალის შესაფასებლად;

არსებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოგვევლინა პრობლემური საკითხები, მოგვეძია მათი რაციონალური გადაწყვეტის გზები და შესაძლებლობები.

დასმული ამოცანების შინაარსი

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ჩვენს წინაშე დადგა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტის საჭიროება:

ეტაპი I - საკვლევი თემის შესახებ ლიტერატურული წყაროების მოძიება, დახარისხება, მეთოდოლოგიის შემუშავება;

ეტაპი II – კვლევის აქტუალური მიმართულებების გამოყოფა (ისტორიული მემკვიდრეობა, მევენახეობის ტრადიციები, ვაზის ადგილობრივი უნიკალური ჯიშები, მეღვინეობის სპეციფიკური ნიშნები, აგროკლიმატური თავისებურებები, ნიადაგი და სხვ.);

ეტაპი III - განვითარებისათვის ხელშემშლელი ფაქტორების, რისკების და პრობლემების გამოვლენა;

ეტაპი IV - მესხეთის მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისათვის ხელშეწყობისთვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ ჩვენი მოსაზრებების ჩამოყალიბება, რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევისას გამოყენებული მეთოდები

აგრარულ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ჩვენს მიერ შერჩეული თემა სპეციფიკურია თავისი შინაარსით. იგი შესრულებისათვის ითხოვს ინფორმაციის მოგროვების, დახარისხების, განსჯის, კრიტიკული, სინთეზური და კომპლექსური ანალიზის უნარს.

თემის დამუშავებისას დასახული ამოცანები თავის მხრივ ასახავს ერთგვარ ქმედებას, რომელიც მიმართულია დასახული მიზნების განსავითარებლად და მოიცავს: წარსული და ამჟამინდელი სტატუს-კვოს წარმოჩენას, რომელიც ორიენტირებული იქნება სამომავლო პერსპექტივების რეგულირების გათვალისწინებაზე. ნაშრომი ემყარება კვლევის რამოდენიმე მეთოდს, რომლებიც ძირითადად ემპირიული კვლევის მეთოდებიდან გამომდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ხსენებული კვლევის მეთოდი წარმოადგენს ძირითად ნაწილს ნაშრომის დამუშავებისას, თუმცა ისიც თავის მხრივ გარკვეულ განშტოებებად იყოფა. ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი ამ კუთხით არის ლოგიკა, რომელიც წარმოადგენს ემპირიული კვლევის მეთოდების ერთგვარ სამეცნიერო იარაღს, რაც გულისხმობს სწორად აზროვნების სისტემას. სწორედ ამიტომ სანდო დასკვნების გაკეთება და მათი წარმოჩენა წინამდებარე ნაშრომში გავამყარეთ ე.წ. ვალიდობით, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა მეცნიერთა მიერ გამოტანილ დასკვნებზე დამყარებულ, ლოგიკურად შეჯერებულ მსჯელობას. პრობლემის დასახვის. მისი წარმოჩენისა და დასაბუთების შემდეგ აუცილებლად ისახება გარკვეული ჰიპოთეზა, რასაც თავის მხრივ მოჰყვება კვლევის დიზაინის დამუშავება, გაზომვა და მონაცემთა შეგროვება. სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს თემის დამუშავებისას საჭირო ბიბლიოგრაფიისა და თემატიკის მოძიების პროცესს, რომელსაც ძირეული მნიშვნელობის შეტანა შეუძლია ამა თუ იმ ნაშრომში. ლოგიკურია, რომ მონაცემთა შეგროვებას თავის მხრივ მოსდევს მათი დამუშავება და ანალიზი. აღნიშნულ პუნქტში ყველაზე მეტად იგრძნობა ავტორის ხედვები, მის მიერ გაკეთებული ანალიზი და საკვანძო საკითხების განზოგადება.

ნაშრომის სტრუქტურა

სამაგისტრო ნაშრომი შედგება 62 გვერდისაგან. იგი მოიცავს ოთხ თავს.

- პირველ თავში განხილულია მევენახეობის ისტორიული მიმოხილვა, მეღვინეობასთან დაკავშირებული მესხური ტრადიციები, აბორიგენული ვაზის ჯიშების სტრუქტურული დახასიათება;
- მეორე თავში გამახვილებულია ყურადღება რეგიონში არსებული ნიადაგების ტიპებზე და აგროქიმიური ნიშნით დახასიათებაზე. ასევე განვსაზღვრეთ მევენახეობისათვის ხელსაყრელი ზონები;
- მესამე თავში წარმოდგენილია დღეს არსებული მდგომარეობა მესხეთში მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით, რეგიონისათვის უნიკალური ტერასული ტიპის სისტემა და გავრცელებული ვაზის ჯიშები.
- დასკვნით მეოთხე თავში ძირითადი აქცენტი გაკეთდა რეგიონში არსებულ პრიბლემებზე, მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარებისათვის ხელისშემშლელ ფაქტორებზე და მათი გადაჭრის გზებზე, მევენახეობა-მეღვინეობის როლზე რეგიონის განვითარებაში, პერსპექტიულ მიმართულებებზე და ეკონომიკურ ეფექტიანობაზე. ნაშრომი შედგება

თავი 1 . მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციები მესხეთში

1.1. მევენახეობა ძველ მესხეთში

ძველ მესხეთში მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების შესახებ ღაღადებენ ის უამრავი ღვინის ქვევრები, რომლებიც აღმოჩენილი იქნა ძველი ნასახლარების გათხრების დროს.

ძველ მესხეთში ვენახების დიდი რაოდენობით არსებობაზე მეტყველებს, ვარძიის ნაკრძალში აღმოჩენილი მე 12 - მე 13 საუკუნის დიდი „სალხინო მარანი“ დარბაზით, სადაც დღესაც დაცულია 13 სხვადასხვა ზომის ქვევრი.

ძველი ნასახლარების გათხრების დროს, ღვინის ნარჩენით ქვევრებისა და მარნების დიდი რაოდენობაა აღმოჩენილი მესხეთში ახალდასახლებული მოსახლეობის მიერ.

უდიდეს ინტერესს იწვევს 1957 წელის 4 მარტს მესხეთში, ბორჯომის რ.ნ სოფ. ჭობისხევში ადგილობრივი მცხოვრების მიერ, სახლის ასაშენებლად საძირკველის გათხრისას აღმოჩენილი ღვინის დიდი მარანი, სადაც ჩამარხული 10 ქვევრიდან 5 სავსე იყო სხვადასხვა ფერის ღვინით. ღვინო მართალია გაწყალებული იყო, თუმცა შენარჩუნებული ჰქონდა პირვანდელი შეფერილობა (ჩალისფერი,მუქი ჩალისფერი,თაფლის ფერ, ღია ჩალისფეერი) დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ტერიტორიებზე 360 წლის განმავლობაში მევენახეობა-მეღვინეობა სრულიად უმოქმედიდ იყო მიტოვებული. სავარაუდოდ ეს აღიშნული მარანი ეკუთვნის იმ ქათველს მოსახლეობას, რომლებიც ოსმალთა შემოსევამდე ცხოვრობდნენ ამ მიწაზე.

სურათი 1.1.1

სოფ.ჭობისხევი, ძველი ღვინის ქვევრები

1578 წელს თურქების მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ აქ თანმიმდევრულად ნადგურდებოდა მევენახეობა, თუმცა ჯერ კიდევ 1595 წლის აღწერის მიხედვით, მარტო ახლანდელი ასპინძის რაიონის ტერიტორიაზე დაახლოებით 10-12 ათასი ტონა ყურძენი იკროფებოდა(მაშინ, როდესაც ამავე პერიოდი კახეთში 10-12 ათასი ტონა).

თურქი დამპყრობლების მიერ საუკუნეების მანძილზე გაჩანაგებულ მესხეთში შეიცვალა ბუნებრივ-კლიმატური პირობებიც: ბუნება შედარებით უფრო გამკაცრდა,(როდესაც ეს მხარე ბორჯომის ხეობიდან დაწყებული ახალქალაქის მიდამოებამდე მთლიანად ტყეებით იყო დაფარული ,ჰავა კი შედარებით ზომიერი).ძველი ვაზის ჯიშები, რომლებიც შეგუებულნი იყვნენ იმ დროინდელ ბუნებრივ პირობებს და გაშენებლი იყო უდიდეს ფართობებზე, თურქმა დაპყრობლებმა მთლიანად გაჩეხეს ,გადაწვეს და გაანადგურეს, ეს კი გრძელდებოდა 1578 წლიდან 1828 წლის 15 გვისტომდე (სრული ორ საუკუნე ნახევრი).

გარდა ამისა 1848 წელს გავრცელდა ვაზის ისეთი დაავადებები, როგორიცაა ფილოქსერა და სხვა სოკოვანი დაავადებები.

1848 წელს პირველად გაჩნდა ვაზის დაავადება ნაცარი(იოდიუმი)

1878 წელს ჭრაქი (მილდიუმი)

1860 წელს ევროპაში გამოჩნდა ფილოქსერა, რომელიც საქართველოში შეამჩნიეს პირველად 1881 წელს სოხუმში, 1884 წელს თბილისში და 1910 წელს.

მესხეთში ძველად ვაზის გასაშენებლად ვარგისი მიწის სიმცირის გამო იყენებდნენ ხელოვნურად გაშენებულ ტერასებს, რომელსაც ოროკოებს უწოდებდნენ (ივ.ჯავახიშვილი, 1934)

ამ ტიპის ხელოვნურად დაბაქანებულ ოროკოებს ,რომლებსაც ქვის კედლებიც აქვს ამოშენებული, გვხვდება მხოლოდ მესეთის რეგიონში: აწყურის,ჭაჭკარის , გოგაშენის,ალახევის, უნწის, ვარძიის, საროს, ხერთვისისა და ხიზაბავრის ტერასების სახეწოდებით.აღნიშნული ტერასები მდებარეობს ზღვის დონიდან 900 დან 1800 მ სიმაღლზე, ზოგიერთი მათგანის სიმაღლე 200 მეტრია და შეადგენს დაახლოებით 50 საფეხურს.

მესხეთში ძველად გაშენებული იყო მაღლარი ვენახი რომელსაც ბარნა ვენახს უწოდებდნენ ,ხოლო მე 16 საუკუნიდან ძველ მესხებს დაბლარის გაშენება დაუწყიათ , რომელსაც ფეხის ვაზი ეწოდებოდა.

მესხეთის მხარეში მევენახეობის აღორძინება XX საუკუნის 40-50-იან წლებში დაიწყო, ხოლო მანამდე, XX საუკკუნის დასაწყისში ბევრი მეცნიერი (ივ.ჯავახიშვილი, ს.მაკალათია და სხვ) გულისტკივილით წერდნენ აქაური პრობლემების შესახებ.

მესხეთში მევენახეობის პერსპექტივები და ადგილობრივი ჯიშები ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-40-იან წლებში შეიწავლეს მაქსიმე რამიშვილმა და დავით ტაბიძემ, თუმცა საბჭოთა პერიოდის მიდგომებმა ბევრი ვერაფერი უშველა მივიწყებულ ჯიშებს. ამ პერიოდიდან მესხეთში იწყება ვაზის რეგიონისთვის ახალი ჯიშების გაშენება . ასეთებია : რქაწითელი, პინო, ალიგოტე, ხიხვი, გორული მწვანე, ჩინური. ეს ჯიშები თავისთავად მაღალი ხარისხის მოსავალს იძლევა აღმოსავლეთ საქართველოში. მათ

შეავიწროვეს და ბოლოს თითქმის სრულიად განდევნეს ადგილობრივი ვაზის ჯიშები. ამას დაერთო ისიც, რომ მესხეთის რეგიონს განესაზღვრა შამპანური მასალების წარმოების პერსპექტივა. ამ მიზნით 1947 წელს ჩამოყალიბდა შამპან-კომბინატის წრიოხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, 1950 წელს კი აშენდა ჰიდრავლიკური წნეხებით აღჭურვილი დიდი მარანი, რომელიც დღე-ღამეში 50 ტონა ყურძენს ამუშავებდა.

ამ, რბილად რომ ვთქვათ, გაუაზრებელი გადაწყვეტილებების შედეგებს დღეს ვიმკით. უპერსპექტივობის გამო არარც ის შემოტანილი ჯიშებით გასენებული ვენახები შემორჩა და რაც მთავარია, დაიკარგა (გადაშენდა) უნიკალური ადგილობრივი ვაზის ჯიშების ბევრი სახეობა, რომელთა მოძიებას, აღდგენას და გამრავლებას უდიდესი შრომა და ძალისხმევა სჭირდება.

მესხეთის მევენახეობა-მეღვინეობის უნიკალური ტრადიციები კი მხოლოდ ისტორიას შემორჩა.

1.2. მესხური ვაზის ძველი ჯიშების აგრობიოლოგიური დახასიათება

მეხეთის მხარეში გავრცელებული აბორიგენული ვაზის ჯიშები საუკუნეების მანძილზე იზრდებოდა და ყალიბდებოდა მაღალი მთისათვის დამახასიათებელ კლმატურ პირობებში, რის გამოც დგილობრივი ჯიშები კარგად არიან შეგუებულნი გარემო პირობებთან.

კარგად ვიცით, რომ ვაზი სითბოს მოყვარული მცენარეა, თუმცა მესხური ჯიშები სიგრილეს არიან მიჩვეულნი და მაღალ შტამპზე უკეთესი მსხმოიარობითა და მაღალპროდუქტიულობით ხასიათდებიან, ვირე დაბალზე.

მესხურ აბორიგენულ ჯიშებს უფრო მეტად ყვავილედი გამოაქვთ ბაზისიდან, 5-6 კვირტიანი დაშორებით, ხოლო ზოგიერთ ჯიშს, როგორიცაა: ბეჯანა, ცხენისძუა თეთრი და შავი, ყვავილედი გამოაქვთ ყლორტის ზრდის კონუსთან ახლოს და მტევები ყლორტიანად ძუასავით აქვთ ჩამოკიდებლი.

მსხური ვაზის ძველი ჯიშებისათვის დამახასიათებელია მიწისზედა ოგანოებისა და ფესვთა სისტემის ძლიერი განვითარება, რასაც ცხადყოფს ჩატარებული ცდა.

გაზაფხულზე ერთმანეთის გვერდიგვერდ, ერთნაირ ნიადაგში და მოვლის პირობებში ,ვაზის საკუთარ ძირზე დასაფესვიანებლად დაირგო ძველი მესხური ვაზის ჯიში ცხენის ძუძუ და ქართლის ჯიშის ჩინური. შემოდგომით, როდესაც დასრულდა ვეგეტაცია, ორივე ნიმუშის ფესვთა სიგრძე და სიმსხო გაიზომა. შედეგები წარმოდგენილია ცხრილში (ცხრილი1.)

ცხრილი 1.1

ჯიში	ფესვთა ოდენიბა ერთ ძირზე	მთავარი ფესვის სიგრძე სმ	1მმ	2მმ	3მმ	სულ სმ	სიგრძე სმ	სიმსხო მმ
ცხენის ძუძუ	27	55	410	340	85	835	68	5
ჩინური	14	37	367	145	-	512	30	4

როგორც ამ მონაცემებიდან ვხდავთ განვითარებული ფესვის სიგრძე და რაოდ ენობა ,(შემწოვი ბუსუსების ჩაუთვლელად) აბორიგენული მესხური ვაზის ჯიშში უფრო მტია ,ვიდრე შემოტანილ ქართლის ჯიშში.

მცენარის ფესვთა სისტემის კარგი განვითარება ხელს უწყობს ნიადაგიდან დიდი რაოდენობით საკვების მიწოდებას, რისი მეშვეობითაც ხდება სწრაფად განვითარება

მიწის ზედა ორგანოებისა, შედეგად ვაზი იმოსება დიდი რაოდეობით საასიმილაციო ორგაოებით (ფოთლებით) რომელიც პლსტიკური ნივთიერების დაგროვების ერთგვარი ლაბორატორიაა და ხელს უწყობს ძლიერი რქების განვითარებას.(შ.წიქვაძე 1958)

მესხური ვაზის აბორიგენული ჯიშები ფესვთა სისტემას ნიადაგის ღრმა ფენაში ივითარებენ. გაზაფხულზე მაისის ბოლომდე ნიადაგის ამ სიღრმეში მცენარე ვერ იღებს გამოღვიძებისათვის საკმარის ტემპერატურას და კვირტის გაშლა ხდება აპრილის თვის ბოლო დღეებში. შესაბამისად გვიან გამოღვიძებული ვაზი გაზაფხულის წაყინვებისაგან ნაკლებად ზიანდება. აპრილის თვეში საშუალო ტემპერატურა მესხეთის სხვადასხვა ზონებში 40 სმ სიღრმეში შემდეგნაირია: ახალციხეში 5-6 ° ,ასპინძაში 4-5° ,ადიგენში კი 3-4°. (წიქვაძე- 1958)

სხვა ჯიშების მსგავსად, მესხური ვაზი მაღალ შტამპზე შედარებით ნაკლებად ავადდება ჭრაქითა და ნაცარით, ასევე მაღალ შტამბზე ვაზი ნაკლებად ზიანდება ზამთარში დამახასიათებელი ყინვებისაგან ვიდრე დაბალ შტამპზე გაშენებულნი, რომელთაც ისეთივე მოვლა და მკურნალობა ესაჭიროებათ ,როგორც სხვა ქართულ თუ ევროპულ ჯიშებს.(წიქვაძე -1958წ)

დიდი რაოდენობით პლასტიკური ნივთიერების დაგროვება ზრდის მცენარის უჯრედის წვენში შაქრების კონცენტრაციას და ამცირებს წყლის რაოდენობას უჯრედში.

მერქნისა და სხვა ნაწილების მტკიცე, ძლიერი აგებულება მცენარეში ავითარებს მაღალ იმუნიტეტს ყინვასთან მიმართებაში. ამგვარად, ვაზის ყინვაგამძლეობა პირდაპირაა დამოკიდებული ფოტოსინთეზის შედეგად დაგროვილი ნახშირწყლების რაოდენობაზე.

დაზამთრებისას, პლასტიკურ ნივთიერებათა მარაგის განსასაზღვრად, ძველი მესხური ვაზის ჯიშების რქის ანალიზი ჩატარდა

ცხრილი 1.2.

ვაზის ჯიში	წყალი %	მშრალი ნივთიერება%	ნაცარი%	სახამებელი%	შაქარი%
1.მესხური საფერე	40,3	59.7	4.2	21.27	3.16
2.ბუდეშური	45.05	54.9	3.2	17.31	6.56
3.ახალციხის თეთრა	50.1	49.9	2.51	24.30	6.07
4.როკეთულა	45,09	54.95	3.8	23.70	5.1
5.საწური	44.52	55.48	2.71	23.09	4.13
6.ალიგოტე	50.2	49.8	3.9	22.79	3.64
7.ჩიტისკვერცხა	42,7	57.3	4.82	21.87	3.06

როგორ ცხრილის სახით წარმოდგეილი ანალიზების შედეგებიდან ვხედავთ, მესხური ვაზის ძველი ჯიშები დაზამთრებისას შედარებით ნაკლებ წყალს შეიცავენ და ნიადაგის სიღრმეში, ფესვთა სისტემის ძლიერი განვითარების გამო გამოირჩევიან მაღალი იმუნიტეტითა და გამძლეობით, გვალვებისა და ზამთრის ყინვების მიმართ, ამასთანავე ეს ვაზები ქმნიან მძლავრ საასიმილაციო ორგანოებს(მუშა ფოთლებს) და პლასტიკური ნივთიერების დიდ მარაგს.

ისეთი ძველი მესხური ვაზის ჯიშების ერთ წლინი ნაზადი, როგორიცა : ხარისთვალა, ბუდეშური , ხენის ძუძუ , ბეჟანა, ახალციხის თეთრა, აღწევს 6- 7 მეტრ სიმაღლეს.

მესხეთში გვხდება 100 – 150 წლის ნორმალურად მზარდი ვაზები, რომლებიც ჯერ კიდევ საკმაოდ დიდ მოსავალს იძლევიან, დიდი რაოდნობით აგროვებენ მარაგ ნახშიწყლებს(სახამბელს და შაქარს) ვიდრე ,მაგალითად ევროპული ჯიშის ალიგოტე.

გარდა ამ თვისებებისა, მესხური ვაზის ადგილორივი ჯიშები : სამარიობო, ბუდეშური ასპინძურა, როკეთლა , საწური, ცხენის ძუძუ, ხარისთვალა და კიდევ სხვები ხასითდებიან საუკეთესო არომატებით ,ჯიშური და გემოვნური თვისებებით. მათგან შეიძლება არა მარტო სადესერტო სუფრის ყურძნის მიღება ,არამედ მაღალხარისხიანი შამპანური და ნახევრად ტკბილი ღვინო მასალების მიღება.

მესხურ ვაზის აბორიგენული ჯიშები თავისი უპირატესობის გამო, სწრაფად ვრცელდება და მრავლდება, როგორც მაღლარი ,ასევე დაბლარი ფორმებით.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირსა თუ ადგილობრივს რომ მიეცეს არჩევანისა და ზოგადად წარმოდგენის შესაძლებლობა, ვთავაზობთ თითეული მესხური ვაზის ჯიშის დახასიათებას, მისი აგრობოლოგიური, ბოტანიკური თუ სამეურნეო ტექნოლოგიური თავისებურებების მიხედვით.

1.3. მესხური თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშები

სამარიობო



სურათი 1.3.1. სამარიობო

წარმოშობა: მესხეთი

საღვინე-სასუფრე მესხეთის პრობებში სამარიობო ყველაზე საადრეო ყურძნის ჯიშია, ამ ჯიშის ერთეული ეგზემპლიარები შემონახულია ახალციხის რაიონის სხვადასხვა სოფლებში.

სამარიობო როგორც ყელაზე ადრეული ჯიში მესხეთში პინოზე და ალიგოტეზე ადრე მწიფდება,მისი სავეგეტაციო პერიოდი 140 – 150 დღეს არ აღემატება.

კვირტის გაშლას იყებს 1 – 2 მაისს, ყვავილობას კი 15 ივნისიდან და ამთავრებს 5 ივლისამდე. ყურძნის შეთვალება იწყება 15 – 20 აგვისტოში.ხოლო სრულ სიმწიფეს ამთავრებს 15 – 20 სექტემბრამდე. ფოთოლცვენას იწყებს 20 – 25 ოქტომბერს და ამთავრებს 30 ოქტომბრამდე, ამ პერიოდისათვის ვაზის ყველა რქა თავისუფლად ასწრებს მომწიფებას. ვაზი საშუალო ზრდითა და მაღალი მოსავლით ხასიათდება, დაბლარად გაშენებული თითოეული ძირიდან საშუალოდ იძლევა 10 – 15 კგ მდე ყუძნის მოსავალს.

ნაცარი და ჭრაქი ვერ აზიანებს, ყინვისა და გვალვისადმი აქვს კარგი გამძლეობის უნარი, გაზაფხულზე ახასიათებს გვიან გამოღვიძება და ადრე იძლევა მოსავალს , რის

გამოც საგაზაფხულო და საშემოდგომო წაყინვები ყლორტებსა და მოსავალს ვერ აზიანებს.

სამერნეო ტექნოლოგური დახასიათება. სამარიობო ჯიშის ვაზის საშუალომტევნს წონა 180 გრამია, ცალკელი მტევნები კი 270 გრამამე აღწევენ. წვენის გამოსავალი ყურძენში 75 % ია.

ახალცხის პირობებში ტკბილში შაქრის შემცველობა სექტემბრის ბოლო რიცხვებში 19,1 %-ს აღწევს. საერთო მჟავიანობა 8,5 % -ს არ აღემატება.

სამარიობო ვაზის ყურძენი შესაძლოა გამოყენებული იქნას სასუფრედ, მივიღოთ მისგან მაღალხარისიან სუფრის ღვინო , ან კარგი ხარისხის ცქრიალა ღვინო .

სამარიობოს ჯიშის ვაზის გავრცელება მესხეთში საკმაოდ პრიორიტეტულია, ეს მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს მევენახეობის განვითარებას მესხეთში.

ხარისთვალა თეთრი

სურათი 1.3.2.

ხარისთვალა

წარმოშობა: მესხეთი

სამეურნეო მიმართულება: საღვინე-სასუფრე

ეს ჯიში მაღლარი ფორმებით გვხვდება ახალციხისა და ასპინძის რაიონებში სოფ. აწყურის, კლდის, მარდისა და ტოლოშის ბაღებში ,მისი ზოგიერთი ძირი სოფ. აწყურსა და მარდაში 70 – 80 წელს აღწევს , ხოლო გარშემოწერილობა 50 – 60 სმ აღემატება.

თეთრ ხარისთვალას ახასიათებს ყვავილცვენა და 30 – 40 % წვრილმარცვლოვანება ამიტომ მოსახლეობაში შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული. მაღალი აგროტენიკური მოვლის ფონზე მისგან შესაძლებელია მივიღოთ უხვმოსავლიანი და საადრეო სასუფრე ყურძენი..

აგრობოლოგიური დახასიათება . ხარისთვალა თეთრი ითვლება შედარებთ ადრეულ სასუფრე ვაზის ჯიშად ,სავეგეტაციო პერიოდი 150 – 160 დღეს არ აღემატება. ახსიათებს ძლიერი ზრდა. ერთწლანი ნაზარდი რქა ხშირად 3 – 4 მ მდე აღწევს.

ხარისთვალა კვირტების გაშლას იწყებს 1 – 2 მაისს , ყვავილობას 20 ივნისიდან , ამთავრებს 5 ივლისამდე, ყურძნის შეთვალება წყება 5 – 10 სექტემბრიდან, სრულ სიმწიფეს კი აღწევს 5 – 10 ოქტომბერს. ფოთოლცვენა იწყება 25 ოქტობრიდან და მთავრდება 1 ნოემბრამდე. ვაზის ეს ჯიში დიდი გამძლეობით გამოირჩევა სოკოვანი დავადებებისა და გვალვისადმი.

სამეურნეო ტექნლოგიური დახასიათება. ხარისთვალა თეთრი სასუფრე ჯიშია , მტევნის საშუალო წონა 220 გრამამდეა , მისი ზოგიერთ მტევანი კი 600 გრამამდე იწონის, მტევანში 80 მდე მსხვილი მარცვალია.

წვენი მარცვალში 70 % აღწევს, სექტემბრის პერიოდში , აწყურში წარმოებული ვაზი შაქრიანობა მარცვალში15,5 % აღწევდა. საერთო მჟავიანობა კი 13 – 14 პრო მილამდეა.

ვაზის ეს ჯიში მესხეთის დაბალ ზონაში კარგი აგროტექნიკური ხელშეწყობის შემთხვევაში უხვმოსავლიან სასუფრე ყურძენს იძლევა.

ცხენის ძუძუ თეთრი

სურათი 1.3.3. ცხენის ძუძუ თეთრი

წარმოშობა: მესხეთი

ცხენის ძუძუ საღვინე ჯიშია, მისგან შესაძლოა საშუალო ხარისხის სასუფრე ყურძნის მიღება, ცხენის ძუძუს დაწმენდილი წვენი ღია ჩალისფერია, მოყვითალო შეფერილბის, აქვს ძალიან არომატული და გემრიელი წვენი, ხასიათდება მსხლის არომატით. ეს ჯიში მაღლარების სახით გავრცელებულია საკუთარ ძირზე,მესხეთის რეგიონის სოფლებში , აწყურში , გრკელში, მარდაში, სარო, ტოლოში , ხერთვისი, გოგაშენი, დიდი სმადაში.

ამ ჯიშის ვაზის ეგზემპლიარები გვხვდება 90 – 100 წლამდე მიღწეული , ხასიათდება როგორც მაღალმოსავლიანი და შედარებით ადრეული ჯიში.

აგრობიოლოგიური დახასიათება. ცხენის ძუძუ შედარებით ადრეული ჯიშია ,მისი სავეგეტაციო პერიოდი 160 – 170 დღემდე აღწევს, ვაზი ძლიერი ზრდით ხასიათდება. ერთწლიანი ნაზარდი რქა ხშირად 5 – 6 მეტრამდე აღწევს.

ვაზი კვირტების გაშლას იწყებს 25 აპრილიდან 5 მაისამდე. ყვავილობას 15 ივნისიდან და ამთავრებს 5 ივლისამდე, ყურძნის შეთვალება იწყება 20—25 აგვისტოს, სრული სიმწიფეს ამთავრებს 10 ოქტომბრამდე, ფოთლცვენას იწყებს 20 – 25 ოქტომბრიდან და ამთავრებს 1 ნოემბრამდე. მომწიფებული რქა 120 – 200 სმ აღწევს , რქაზე ხშირად

გვხვდება 2 – 3 მტევანი , ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით ,გამოირჩევა ძლიერი იმუნიტეტით სოკოვანი დაავადებების მიმართ, მაღლარ ფორმებში ჭრაქითა და ნაცრით ნაკლებად ზიანდება.

სამეურნეო ტექნოლოგიური დახასიათება. მტევნის საშუალო წონა 150 გრამამდე აღწევს, მტევანში დახლოებით 70 მარცვალია.

წვენის შემცველობა ყურძენში 70 % აღწევს , შაქრიანობა კი 16,5 –18 % მდეა. სართო მჟავიანობა 10 – 11 % ს არ აღემატება.

თეთრი ახალციხური



სურათი 3.1.4. ახალციხური თეთრი

წარმოშობა: მესხეთი

თეთრი ახალციხური მაღალხარისხიანი საღვინე ჯიშია, ახალი დაწურული წვენი თეთრი ფერისაა, ღვინო ჩალისფერია და სასიამოვნო არომატებით გაჯერებული, ამ ჯიშით მესხეთის რეგიონში შესაძლებელია კრიალა და შუშხუნა ღვინის მიღება. თეთრი ახალციხური დიდი რაოდენობით გვხვდება მესხეთში, ახალციხის რაიონში

მაღლარი , ხეივნების სახით. ამ ჯიშის ვაზის ცაკეული ეგზეპლიარები 50 – 56 წელს აღემატება

აგრობიოლოგიური დახასიათება. თეთრი ახალციხური ითვლება საშუალო პროდუქტიულობის მქონე ჯიშად , სავეგეტაციო პერიოდი მოიცავს 150 – 160 დღეს, კვირტების გაშლას იწყებს 1- 2 მაისს , ყვავილობას 15 ივნისიდან, და ამთავრებს 5 ივლისამდე.

ყურძნის შეთვალება იწყება 25 აგვისტოს , სრულ სიმწიფეში შედის 15 ოქტომბრამდე, ფოთოლცვენას იწყებს 25 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე. ვეგეტაციის დამთავრებამდე რქა ასწრებს მომწიფებას. ვაზი ძლიერი ზრდით ხასიათდება , ერთი წლის ნაზარდი რქა 3—4 მეტრამდე აღწევს, ვაზი საკმაოდ ნაკლებად იმუნურია ჭრაქისა და სხვა დაავადებების მიმართ, ამიტომ ისეთივე მკურნალობას საჭიროებს, როგორც ევროპული ვაზის ჯიშები.

სამეურნეო ტექნოლოგიური დახასიათება. მტევნის საშუალო წონა 120 გრამამდე აღწევს, მტევანში საშუალოდ 66 მარცვალია , ცალკეული მტევნები 250 –300 გრამამდე იწონის .

წვენის შემცველობა მარცვალში 75- 80 % ს აღწევს, საერთო მჟავიანობა 11 – 12,5 პრომილს არ აღემატება.

საფარულა



სურათი 3.1. 5. **საფარულა**

წარმოშობა: მესხეთი

საფარულა მაღალმოსავლიანი ვაზის ჯიშია, რომელიც გამოირჩევა გამძლეობით სოკოვანი დაავადებებისა და წაყინვების მიმართ, იგი კარგად ხარობს მაღალმთიან ზონებში და ეგუება ცივ კლიმატს. ეს ჯიში ატარებს საფარის სახელს ვინაიდან პირველად ამ ტერიტორიაზე იქნა აღმოჩენილი, მათი ხნოვანება 50 – 60 წელს აღწევს.

აგრობიოლოგიური დახასიათება. საფარულა ითვლება საგვიანო ,საღვინე ჯიშად , რომლის სავეგეტაციო პერიოდი 160-170 დღე გრძელდება.

კვირტი გაშლას იწყებს 2-3 მაისიდან ,ყვავილობს 15 – 20 ივნისიდან და ამთავრებს 10 ივლისამდე.

ყურძნის შეთვალება იწყება 15 სექტემბრიდან და სრულ სიმწიფეში შედის 10 ოქტომბრამდე.

ფოთლის ცვენას იწყებს 1 ნოემბრიდან და ამთავრებს 10 ნოემბრამდე.

ვაზი ხასიათდება ძლიერი ზრდა-განვითარებით, საფარულა მაღალმოსავლიანი ვაზის ჯიშია, ხეივანზე აყვანილი ერთი ძირი 10-15 კგ მოსავალს გვაძლევს. დიდი

გამძლეობით გამოირჩევა სოკოვანი დაავადებებისა და გვალვების მიმართ, მესხეთისათვის დამახასიათებელი ყინვები ნაკლებად აზიანებს.

სამეურნეო ტექნოლოგიური დახასიათება. საფარულას მტევნის საშუალო წონა 258 გრამია, ცალკეული მტევნები კი 500-600 გრამამდე იწონის.მტევანში 100 მდე მარცვალია.

წვენის შემცველობა მარცვალში 70- 75 % უდრის.

აწყურის პირობებში მოყვანილ ვაზში ,სექტემბრის ბოლოს ტკბილის შემცველობა 16,5 % აღწევს , საერთო საერთო სიმჟავე 11,1 პრომილს.

თეთრი ბუდეშური

სურათი 3.1.6.**თეთრი ბუდეშური**

წარმოშობა: მესხეთი

თეთრი ბუდეშური გავრცელებული ჯიშია მესხეთში, იგი დიდი რაოდენობით გვხვდება მაღლარების სახით ახალციხისა და ასპინძის რაიონის სოფლებში, აწყურში ,

გურკელსა და მარდაში, ტოლოში, ანაღვრის ხევი . ამ ჯიშის ერთეული ძირები 80-90 წლის ასაკისაა, რომელთა გარშემოწერილობა 50-60 სმ- ს აღწევს

პროფ. მ. რამიშვილი აღნიშნავს , რომ თეთრი ბუდეშური ზოგიერთი თვისებებით ქართლის ბუდეშურს წააგავს. (რამიშვილი, 1934)

აგრობიოლოგიური დახასიათება . თეთრი ბუდეშური საღვინე ,საადრეო ჯიშია. სავეგეტაციო პერიოდი 150-160 დღე გრძელდება. კვირტების გაშლას იწყებს 20 -25 აპრილს, ყვავილობას 10-15 ივნისის პერიოდში. ყურძენი შეთვალებას იწყებს 10-15 სექტემბერს, სრულ სიმწიფეს კი 1-5 ოქტომბერს აღწევს.ფოთოლცვენას იწყებს 15- 20 ოქტომბრიდან და ამთავრებს 10 ნოემბრამდე. ვაზი ხასიათდება ძლიერი ზრდა განვითარებით. ერთი წლის ნაზარდი ხშირად 6,5- 7 მეტრამდე იზრდება. ეს ჯიში დიდი გამძლეობით გამოირჩევა სოკოვანი დაავადებების მიმართ.

სამეურნეო ტექნოლოგიური დახასიათება. ვაზის ეს ჯიში ითვლება მაღალმოსავლიან ჯიშად , მისი მტევნის საშუალო წონა 195 გრამია, ცალკეულ შემთხვევაში კი 500- 600 გრამს. მტევანზე 100 მდე მარცვალია ,

წვენის შემცველობა 75-80 % ია ,შაქრის შემცველობა კი 18- 19 %. საერთო მჟავიანობა 8 დან 9 პრომილამდეა.

როკეთულა



სურათი3.1. 7.როკეთულა

წარმოშობა: მესხეთი

როკეთულა საღვინე ჯიშია, რომლისგანაც შეგვიძლია დავამზადოთ მასალა ცქრიალა ღვინისათვის. ღვინო დურდოსფერია, ფერით წააგავს შავკაპიტოს. იგი მეტად იშვიათი ჯიშია , მისი ცალკეული ეგზემპლიარები გვხვდება სოფ. აწყურის დიდი ტაძრის სამხრეთით, როკეთის მთის კალთებზე, სახელიც გავრცელების არეალიდან გამომდინარე აქვს. ამ ჯიშის ცალკეული ძირების ხნოვანება 100 – 120 წელს აღწევს , რომლის გარშემოწერილობა 60-70 სმ ია.

ეს ჯიში გამრავლებული იქნა გადაწვენით, სოფ. აწყურში. ყურძნის სამეურნეო თვისებების შესწავლამ ცხადყო , რომ როკეთულა ხასიათდება მაღალი მსხმოიარობით, ყინვაგამძლეობის დიდი უნარითა და მისგან დგება მაღალხარისხიანი სუფრის ღვინო, რომელსაც აქვს კარგი არომატი და ბუკეტი.

აგრობიოლოგიური დახასიათება. სავეგეტაციო პერიოდი 150- 160 დღემდე გრძელდება, გაკვირტვას იწყებს 25 აპრილიდან ყვავილობას კი 10-15 ივნისიდან. ყურძენი ითვალება 15- 20 აგვისტოს , ხოლო სრულ სიმწიფეში 1-5 ოქტომბრამდე. ამ ვაზის ჯიშს ახასიათებს მაღალი მოსავლიანობა .ერთ ძირზე მაღლარი ვაზი იძლევა 25-30 კგ . გამოირჩევა მაღალი იმუნიტეტით ყინვებისადმი და იშვიათად ავადდება ჭრაქითა და ნაცარით.

სამეურნეო ტექნოლოგიური დახასიათება. მტევნის საშუალო წონა 210 გრამია, ცალკეული მტევნები კი 400 გრ იწონიან,მტევანზე 90 მარცვალი აქვს

წვენის შემცველობა 75% ია. სექტემბრის ბოლოს მესხეთში მოყვანილი ვაზის შაქრიანობა 16,5% , საერთო მჟავიანობა კი 11,3 პრომილამდეა.

ჩიტისკვერცხა თეთრი

სურათი3.1. 8. ჩიტისკვერცხა თეთრი

წარმოშობა: მესხეთი

ერთეული ნარგავები გვხვდება სოფ. აგარის აწყურის და ტოლოშის მიმდებარედ, მათი ასაკი 30- 40 წელს არ აღემატება, იკეთებს წვრილ მარცვალს , ხასიათდება სუსტი განვითარებით, ნაყოფი გემრიელია და წვნიანი.

აგრობიოლოგიური დახასიათება . ჩიტისკვერცხა ითვლება საშუალო პერიოდის ჯიშად, მისი სავეგეტაციო პერიოდი 160-170 დღეს მოიცავს.კვირტს შლის 2-3 მაისში ყვავილობას კი 20 -27 ივნისიდან 20 ივლისამდე. შეთვალებას იწყებს 20 სექტემბერს ,სრულ სიმწიფეში კი შედის 10-15 ოქტომბრამდე. ვაზი ხასიათდება სუსტი ზრდა განვითარებითა და დაბალი მოსავლიანობით.არის გვალვა გამძლე და ნაკლებად ავადდება სოკოვანი დაავადებებით.

სამეურნეო ტექნოლოგიური დახასიათება.ჩიტისკვერცხა საღვინე ჯიშია , მტევნის საშუალო წონა 70 გრამია, ცალკეული მტევნები 150 გრამამდე აღწევენ. წვენის შემცველობა მარცვალში 70-76 % ია, შაქრისა კი ოქტომბრის პირველ ნახევარში 17,5 % უდრის, საერთო მჟავიანობა 11,1 პრომილამდეა

ცხენისძუა (თეთრი)


სურათი 3.1.9. ცხენისძუა თეთრი

წარმოშობა: მესხეთი

ეს ჯიში მეტად საინტერესოა, როგორც იშვიათი ბიოლოგიური თვისებების მქონე ეგზემპლიარი, რომლის სხვა ჯიშებთან შეჯვარებითა და კარგი აგროტექნიკური მოვლის პირობებში შესაძლებელია პროდუქტიულობის გაზრდა. ვაზის ეს ჯიში ერთეულების სახთ გვხვდება ახალციხისა და ადიგენის ბაღებში, რომელთა ასაკოვნება 70- 80 წელს აღწევს.

აგრობიოლგიური დახასიათება. ცხენისძუა ძუა შედარებით საგვიანო საღვინე ჯიშია, მისი სვეგეტაციო პერიოიდი 160-180 დღეა. ვირტის გაშლას წყებს 1 -2 მაისიდან, ყვავილოას 15 ივნისიდან და ამთავრებს 10 ივლისამდე. ყურძნის შეთვალება იწყება 5-10 სექტემბრიდან. სრულ სიმწიფეს კი აღწევს 10-15 ოქტომბერს. ცხენისძუა საშუალო ნაყოფიერებით გამოირჩევა, აქვს კარგი ამტანობა გვალვების და ყინვების, ასევე სოკოვანი დაავადებების მიმართ.

სამეურნეო ტექნოლოგიური დახასიათება. ცხენისძუა საშუალო მოსავლიანობით ხასიათდება, მტევნის საშუალო წონა 102 გრამია, ცალკე აღებული მტევნებისა კი 200 გრამამდე. მტევანში 60 მდე მარცვალია.

წვენის შემცველობა 70 % ია. ახალციხის პირობებში, სექტემბრის ბოლოს დაკრეფილ ვაზში შაქრის შემცველობა 15,5 %-ს აღწევდა. საერთო მჟავიანობა 14 პრომილამდეა.

მესხური მწვანე

სურათი 3.1.10. მესხური მწვანე

წარმოშობა: მესხეთი

მესხური მწვანე შედარებით საგვიანო ჯიშად ითვლება, გავრცელებულია აწყურისა და გურკელის მიმდებარედ, ეს ჯიში იკეთებს პატარა და მოკლე მტევნებს, გარეგნულად წააგავს ალიგოტეს, მაგრამ განსხვავებულია გემოთი, ფერით , ფოთლებისა და რქის მოყვანილობით. მესხური მწვანე განსხვავდება გორული და კახური მწვანესაგან, მტევნის სიდიდით, მარცვლის სიმსხოთი, ფოთლების აგებულებითა და ღვინის გემო-შეფერვით.

როგორც საგვიანო ჯიში, შეიძლება გავრცელდეს მესხეთის რეგიონის დაბალ სოფლებში, რომლისგანაც მიიღება დაბალ ალკოჰოლური სუფრის ღვინო და საკუპაჟე მასალა, შამპანური ღვინის დასაყენებლად.

აგრობიოლოგიური დახასიათება. მესხური მწვანე საგვიანო ჯიშია, სავეგეტაციო პერიოდი 170-180 დღე გრძელდება, კვირტის გაშლას იწყებს 20-25 აპრილს, ყვავილობს 15 ივნისში და ამთავრებს 5-10 ივლისამდე. ყურძენი შეთვალებას იწყებს 15 სექტემბრიდან და სრულ სიმწიფეში შედის 15-20 ოქტომბრამდე. ფოთოლცვენას იწყებს 25 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე.

ვაზი ხასიათდება სუსტი ზრდა-განვითარებით. ახასიათებს ალიგოტეს მსგავსად წვრილი და წყვილი მტევნები, გამოირჩევა გამძლეობით ჭრაქისა და ნაცარის მიმართ, ასევე იტანს გვალვას, თუმცა ვერ უძლებს ძლიერ ყინვებს.

სამეურნეო ტექნოლოგიური დახასიათება. მტევნის საშუალო წონა 125 გრამია, მასში, წვენის ფერი მწვანეა, რომლის შემცველობა 70 – 75 % ია. აწყურის პირობებში შაქრის შემცველობა წვენში 14,6 % ია , მჟავიანობა კი 11- 12 % .

1.4. მესხური შავყურძნიანი ვაზის ჯიშები

შავი ბუდეშური

სურათი 1.4.1. შავი ბუდეშური

წარმოშობა: მესხეთი

ვაზის ეს ჯიში საკმაოდ იშვიათია , რომლის ერთეული ეგზემპლიარებია შემორჩენილი, ამ ვაზის საშუალო ხნოვანება 60- 70 აღემატება. გვხვდება აწყურის ძველ ბაღებსა და ნასოფლარებში.

შავი ბუდეშური საშუალო ზრდა განვითარებით ხასიათდება, იგი საღვინე ჯიშია, მისგან მიიღება მაღალი ხარისხის, გემრიელი სასუფრე ყურძენი.

აგრობიოლოგიური დახასიათება. შავი ბუდეშური შედარებით საგვიანო ჯიშია, სავეგეტაციო პერიოდი გრძელდება 160-170 დღე. კვირტების გაშლას იწყებს 2-5 მაისამდე, ყვავილობას კი 25 ივნისამდე და ამთავრებს 10 ივლისამდე. ყურძნის შეთვალება იწყება 15-20 სექტემბრამდე, ხოლო სრულ სიმწიფეს აღწევს 10-15 ოქტომბრამდე.

ვაზი ხასიათდება საშუალო ზრდითა და მაღალი მოსავლიანობით, გამოირჩევა დიდი გამძლეობით სოკოვანი დაავადებების მიმართ, ამტანია როგორც გვალვების ასევე ყინვების მიმართ.

სამეურნეო ტექნოლოგიური დახასიათება. ვაზი საღვინე და სასუფრე ჯიშია, მისგან შეგვიძლია მივიღოთ შამპანური მასალა და კარგი სუფრის ღვინო.

შავი ბუდეშურის მტევანი საშუალო ზომისაა, მისი წონა 155 გრამია, მტევანში 100 მდე მარცვალი გვხვდება,

წვენის შემცველობა 70 % აღწევს, შაქრის დაგროვება 17,5 – 18 % ია.საერთო მჟავიანობა 11- 12 % არ აღემატება.

საწური

სურათი 1.4.2. საწური

წარმოშობა: მესხეთი

საწური მესხური ვაზის ძველი ჯიშია, გვხვდება სოფ. აწყურში, გურკელსა და კლდეში. მისი ხნოვანება 80-90 წელს აღწევს. ასევე გავრცელებულია ხულოსა და ქედის რნ. ში რომელიც ძველ მესხეთში შედიოდა. ამ ჯიშის გავრცელება მიზანშეწონილია ცივი ქარებისაგან ბუნებრივად დაცულ, მორწყვად ადგილებში.

საწური მაღალი პროდუქტიულობით გამოირჩევა, იგი გამოირჩევა ძლიერი ზრდა-განვითარებით.

მარცვალი თხელკანიანია და წვნიანი. ვერ იტანს ტრანსპორტირებას, მისგან მზადდება სუფრის ღვინო.

აგრობიოლოგიური დახასიათება. საწური ითვლება საშუალო პერიოდის ჯიშად. მისი სავეგეტაციო პერიოდი 160-170 დღეა. კვირტი გაშლას იწყებს აპრილის ბოლო რიცხვებში, ყვავილობას 15-20 ივნისამდე და ამთავრებს 5 ივლისამდე. ყურძენი შეთვალებას იწყებს 1-5 სექტემბრიდან, სრულ სიმწიფეს კი აღწევს 5-10 ოქტომბრამდე.

ხასიათდება ძლიერი ზრდა განვითარებითა და მაღალი მოსავლიანობით. გამოირჩევა მაღალი იმუნიტეტით სოკოვანი დაავადებების მიმართ, თუმცა სუსტია ზამთრის ყინვებისადმი.

სამეურნეო ტექნოლოგიური დახასიათება. ყურძენი საკმაოდ წვნიანია, მტევნის მასა 250 გრამს აღწევს, ცალკეული მტევნები კი 300-500 გრამს. მტევანში 120 მარცვალია.

წვენის შემცველობა 75-80 % ია, სრულ სიმწიფეში კი შაქრის შემცველობა 15,5-16,5 % ია. საერთო მჟავიანობა შეადგენს 11-12 პრომილს.

მესხური შავი



სურათი 1.4.3. მესხური შავი

წარმოშობა: მესხეთი

ეს ჯიში შემორჩენილია,სოფ. აწყურის, წინუბნის, ტოლოშისა და ასპინძის ძველ ბაღებში.

ვაზი ხასიათდება ძლიერი ზრდა- განვითარებითა და მაღალი მოსავლიანობით. აღწევს 60-70 წლამდე.

აგრობიოლოგიური დახასიათება . ვაზის ეს ჯიში საგვიანოა, ვეგეტაციის ხანგრძლივობა 160-179 დღეა, კვირტი იშლება 1-5 მაისამდე, ყვავილობას იწყებს 20 ივნისიდან და ამთავრებს 10 ივლისამდე. შეთვალებას იწყებს 5-10 სექტემბრამდე, ხოლო სიმწიფეს ასრულებს 10-15 ოქტომბრამდე. დიდი გამძლეობით გამოირჩევა გვალვის, ყინვებისა მიმართ და სოკოვანი დაავადებების მიმართ.

სამეურნეო ტექნოლოგიური დახასიათება. ეს ჟიში საკმაოდ მოსავლიანია, მისი მტევანი იწონის საშუალოდ 110 გრამს, ცალკეული კი 300 გრამამდე. მტევანში 70 მარცვალია,

წვენის შემცველობა 70-75 %. შაქრის შემცველობა წვენში 15 %, ხოლო მჟავიანობა 11-13 პრომილამდეა. წვენი შინდისფერია, ღვინო არომატული და სასიამოვნო.

შავი ასპინძურა

სურათი 1.4.4.მესხური შავი

წარმოშობა: მესხეთი

შავი ასპინძურა უხვმოსალიანი ჯიშია, გვხვდება მაღლარების სახით ასპინძის, ოშორის ყამზის, ტოლოში ბაღებში და ძველ ნამოსახლარებზე. სახელი შერქმეული აქვს პროფ. მ. რამიშვილის მიე.

სოფ. ტოლოშის ძველ ტერასებზე სკმაოდ დიდი რაოდენობითაა, რომელთა ასაკონება 100-150 წლამდეა, გარშემოწერილობა კი 70-80 სმ მდე აღწევს.

გამოირჩევა გამძლეობით ყინვების, გვალვებისა და სოკოვანი დაავაებების მიმართ.

შავი ასპინძურა შეიძლება გამოვიყენოთ სუფრის ღვინისა და შამპანური მასალის ასამზადებად.

აგრობილოგიური დახასიათება. ასპინძურა შედარებით საგვიანო ჯიშია სავეგეტაციო პერიოდი მოიცავს 160-170 დღეს. კვირტი იწყებს გაშლას 1-5 ,მაისამდე, ყვავილობას კი 15 ივნისიდან და ამთავრებს 10 ივლისამდე. ყურძენი ითვალება 1-10 სექტემბრამდე, სრულ სიმწიფეში შედის 10-15 ოქტომბრამდე.

ასპინძურა კარგად იტანს ყინვებს და ნაკლებად ავადდება სოკოვანი დაავადებებით.

სამეურნეო ტექნოლოგიურ დახასიათება. შავი ასპინძურა მაღალმოსავლიანი საღვინე ჯიშია, მტევნის საშუალო წონა 140 გრამია, ცალკეულები კი 300-400 გრამამდეც იწონიან, მტევანში 80 მდე მარცვალია.

მწიფე ყურძნის წვენში შაქრის შემცველობა 19,4 % ია. საერთო მჟავიანობა 8-9 % არ აღემატება.

მესხური საფერე

წარმოშობა: მესხეთი

მესხური საფერესაგან მიღებული ღვინო მუქი შინდისფერია, აქვს სასიამოვნო არომატი და სახალისო დასალევია. მესხური საფერე განსხვავება იმერული საფერესაგან მარცვლის მოყვანილობით, მტევის ფორმითა და ფოთლებით. საკმაოთ იშვიათი ჯიშია რომელიც გვხვდება ასპინძის, სფელ წიოხისა და აგარის მიმდეარედ, გამოირჩევა უხვმოსავლიანობით.

აგრობილოგიური დახასითება. მესხური საფერე საშუალო პერიოდის სიმწიფით ხასიათდება, მისი სავეგეტაცო პერიოდი 150- 160 დღემდე განისაზღვრება. კვირტის გაშლას იწყებს 1-5 მაისამდე, ყვავილობას კი 20 ივნსიდან და ამთავრებს 5 ივლისამდე.

მარვალი შეთვალებას იწყებს 5-15 სექტემბრამდე, სრულ სიმწიფეს კი 5-10 ოქტომბრამდე.

მესხური საფერე უხვი მოსავლანობით ხასიათდება და გამოირჩევა კარგი გამძლეობით ყინვებისა და სიკოვან დავადებების მიმართ.

სამეურნეო ტექნოლოგიური დახასიათება. მესხური საფერე საღვინე ჯიშია, აქვს პატარა მტევნები, მაგრამ მოსავალი უხვი. საშუალო მტევანი 95 გრამს იწონის, ხოლო ერთეული მტევნები 250 გრამსაც. მტევანში საშულოდ 65 მარცვალია

წვენის შემცველობა 80 % ია. სოფ. წრიოხში მოყვანილი ვაზის შაქრის შემცველობა წვენში 17,9 % ია, მჟავიანობა კი 9- 10 პრომილი.

ხარისთვალა შავი

სურათი 14.5. ხარისთვალა შავი

წარმოშობა: მესხეთი

ხარისათვალა შავი მესხური ვაზის საკმაოდ ცნობილი ჯიშია, ეს ჯიში მაღლარების სახით, ერთეული ძირები გვხვდება სოფ, საროს, ტოლოშის, ხიზაბავრის და აწყურის ბაღებში. მისი ასწლოვანი ვაზები შემორჩენილია აწყურში „გოდესის“ ბაღებში, რომლის ძირის გარშემოწერილობა 70 სმ აღემატება.

ხარისთვალა მაღალმოსავლიანი სასუფრე ყურძნის ჯიშია. მის გასავრცელებლად მესეთში დაბალი და საშუალო ზონებია ხელსაყრელი.

აგრობიოლოგიური დახასიათება. ხარისთვალა საშუალო პერიოდის ჯიშია, სავეგეტაციო პერიოდი მოიცავს 150-160 დღეს. კვირტების გაშლას იწყებს 1-3 მაისამდე, ყვავილობას კი 20 ივნისიდან 10 ივლისამდე. ყურძენი შეთვალებას იწყებს 1 სექტემბრიდან, სრულ სიმწიფეს კი 30 სექტემბრამდე აღწევს.

ეს ჯიში ხასიათდება ძლიერი ზრდა-განვითარებითა და მაღალი მოსავლიანობით, მცირედ ზიანდება ნაცრით და ვერ იტანს გვალვას, ასევე მგრძნობიარეა ჭრაქის მიმართ, რომელსაც შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს.

სამეურნეო ტექნოლოგიური დახასიათება. ხარისთვალა მაღალპროდუქტიული სუფრის ჯიშია, მისი მტევნის საშუალო მასა 130 გრამია, ცალკეული მტევნებისა კი 400 გრამამდე იწონის.

წვენის შემცველობა 60-70 % ია. ტკბილში შაქრის შემცველობა 15,9-17 % ია, საერთო ,მჟავიანობა 11,5 – 13 პრომილამდეა.

ცხენის ძუძუ (შავი)

სურათი 1.4.6. ცხენის ძუძუ შავი

წარმოშობა: მესხეთი

ცხენის ძუძუ შავი მესხეთში საკაოდ ცნობილი ჯიშია, ერთეული ეგზემპლიარები გვხვდება ასპინძის რნ ის სხვადსხვა სოფლებში. მტევნის მოყვანილობით ძალიან ჰგავს შავ ბუდეშურს, მაგრამ ფოთლების აგებულებითა და ნაყოფის გემური მახასიათებლებით განსხვავდება.

აგრობიოლოგიური დახასიათება. შავი ცხენის ძუძუ შედარბით საგვიანო ჯიშია. სავეგეტაციო პერიოდი 160-170 დღემდე გძელდება. ვაზი კვირტების გაშლას იწყებს 1-3 მაისამდე, ყვავილობას კი 25 ინისიდან 10 ივლისამდე. შეთვალებას იწყებს 10 სექტემბრიდან და სრულ სიმწიფეს აღწევს 15 ოქტომბრამდე.

ვაზის ეს ჯიში სუსტი ზრდა- განვითარებით ხასიათდება და დაბალი მოსავლიანობით ხასიათდება. კარგად ეგუება გვალვებსა და ყინვებს, ასევე მაღაი იმუნიტეტით გამოირჩევა სოკოვანი დავადებების მიმართ.

სამეურნეო ტექნოლგიური დახასათება. ცხენის ძუძუს საშუალო მტევნის წონა 122 გრამამდეა, საშუალოდ მტევანში 80 მე მარცვალია,

წვენის შემცველობა მარცვალში 65-70 % ია, ტკბილში შაქრის შემცველობა 17,5 % ია, საერთო მჟავიანობა 9,5-10 პრომილი.

ბეჟანა



სურათი 1.4.7. ბეჟანა

წარმოშობა: მესხეთი

ძველი მესხები ბეჟანას „მოზაიკს“ ანუ ჭრელ საგნებს უწოდებდნენ, და რადგან ამ ჯიშს ყურძნის მტევნები სიმწიფის პერიოდში მარცვლების ნაწილი სხვადასხვა შეფერილობისაა, ღებულობს მოზაიკურ , ჭრელ იერს. მარცვლების ამგვარი ერადოვნების გამო მას ბეჟანა უწოდეს. ვაზის ეს ჯიში ხასიათდება მაღალი ძიერი ზრდა განვითარებითა და მაღალი მოსავლიანობით. ერთწლიანი ნაზარდი რქა 6 მეტრამდე აღწევს. ვაზი ერთ ძირ მაღარზე 15-20 კგ მოსავალს იძლევა სშუალოდ. ყინვებისა და სკოვანი დაავადებების მიმართ გამოირჩევა გამძლეობით.

ერთეული ეგზემპლარები გვხვდება ახალციხის და ასპინძის რაიონებში. მისი ძირები 100 წელს აღწევენ, გარშემოწეილობა კ 80 სმ მდე.

აგრობიოლოგიური დახასიათება. ყველაზე საგვიანო ჯიშია მესხეთში, სავეგეტაციო პერიოდი 180-190 დღემდე გძელდება. კვირტი იშლება 1-5 მაისამდე, ყვავილობას კი 5-10 ივლისამდე ამთავრებს. ყურძენი სიმწიფეში შედის 20-25 სექტემბრამდე, სრულ სიმწიფეს კი ასრულებს 15- 25 ოქტომბრამდე.

სამეურნეო ტექნოლოგიური დახასათება. მყტევნის საშუალო წონა 350 გრამამდე აღწევს. ცალკეული მტევნები კი 700-900 გრ. თითოეულ მტევანში 190 ცალი მარცვალია.

წვენის შემცველობა 75-80 % აღწევს. სექტემბრის ბოლოს შაქრიანობა მხოლოდ 8-10 % მდე აღწევს, მჟავიაობა კი 15 პრომილზე მეტია.

როგორც ქიმიური ანალიზის შედეგებიდან ჩანს, ვაზის ამ ჯიშის შაქრის შემცველობა საკმაოდ დაბალია, რაც აიხსნება მისი მაღლარი გაშენებით, რის გამოც ვერ იღებდა საკმარის მზის სითბოს. ამ ჯიშის დაბლარი გაშენებითა და შესაბამისი მოვლა-პატრონობით შეიძლება, რომ მივიღოთ მაღალმოსავლიანი და საკმაოდ ხარსხიანი პროდუქცია, შამპანური ღვინომასალისა და სუფრის ღვინის მისაღებად.

ჩიტისკვერცხა შავი

წარმოშობა: მესხეთი

ვაზის ეს ჯიში მაღლარის სახით გვხვდება მაღლარის სახით აწყურისა და მარდის ბაღებში. მისი საშუალ ხნოვანება 40-50 წელია. ეს ჯიში წვრილმარცვლიანი და ნაკლებმოსავლიანია. ხასიათდება სუსტი ზრდა განვითარებით, ამიტომ დიდი სამეუნეო დანიშნულება არ აქვს. აღწეილია როგორც აბორიგენლი ჯიში.

აგრობიოლგიური დახასიათება. ჩიტისკვერცხა საშუალო პერიდის ვაზის ჯიშია. მისი სავეგეტაცო პერიოდი 15-170 დღეა. კვირტი გამოდის 1-2 მაისს, ყვავილობას კი ამთავრებს 10 ივლისამდე. სრული სიმწიფის პერიოდს აღწევს 5-10 ოქტომბრამდე.

სუსტი ზრდის გამო რქა 40-50 სმ-ს არ აღემატება. ძლიერი იმუნიტეტი აქვს გვალვისა და ყინვების მიმართ, მაგრამ ადვილად ავადდება ჭრაქით.

სამეურნეო ტექნოლოგიური დახასიათება. ჩიტისკვერცხას აქვს პატარა მტევნები და წვრილი მარვლები. საშუალო მტევნის მასა 60 გრამია, მტევანში 80 მდე მარცვალია,

წვნის შემცველობა 60 % ია , სექტემბრის ბოლოს ყურძნის წვენში შაქრის შემცველობა 16,5%, საერთო მჟავიანობა 10 %.

ჩიტისკვერცხა არის საღვინე ჯიში, ხასიათდება მცირე მოსავლიანობითა და გამოსავლიანობით. რის გამოც საწარმო დაიშნულებით გამოყენება არა ეკომენდრებული.

ცხენისძუა შავი

სურათი 1.4 8. ცხენისძუა შავი

წარმოშობა: მესხეთი

ცხენისძუა შავი , თეთრის მსგავსად ვაზის იშვიათი ეგზემპლიარია, მას ყვავილედი გამოაქვს არა მე 3 ან მე 4 მუხლიდან, არამედ მტევანი ვითარდება ყლორტის ზრდის კონუსთან ახლოს და ყურძნის სიმწიფის პერიოდში, მტევნები მოკლე ყლორტებიანად ცხენის ძუძუსავითაა ჩამოკიდებული. ეს ჯიში ერთეული სახით გვხვდება აწყურში და როკეთის მთის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთებზე

აგარობიოლოგიური დახასიათება. ცხენისძუა საგვიანო ჯიშია, მისი სავეგეტაციო პერიოდი 160-170 დღეა.

კვირტის გაშლას იწყებს 30 აპრილიდან, ყვავილობას კი 10-15 ივლისამდე ამთავრებს. მტევანი სრულ სიმწიფეს აღწევს 5-15 ოქტომბრამდე პერიოდში.

ვაზის ეს ჯიში კარგად ეგუება გვალვასა და მშრალ კლიმატს, ასევე ნაკლებად ზიანდება სოკოვანი დაავადებებით, ვინაიდან საგვიანო ჯიშია , ხშირად უსწრებს საშემოდგომო წაყინვები, რაც აზიანებს ნაყოფს.

სამეურნეო ტექნოლოგიური დახასიათება. ვაზი ხასიათდება სუსტი ზრდა-განვითარებითა და ნაკლები მოსავლიანობით. მტევნის საშუალო მასა 71 გრამია.

წვენის შემცველობა მარცვალში 60 % ია, სექტემბრის ბოლოს დაკრეფილი ყურძნის წვენში შაქრის შემცველობა 11,5 % , ხოლო საერთო მჟავიანობა 13-14 პრომილი.

კლერტმაგარა

წარმოშობა: მესხეთი

კლერტმაგარა საგვიანო ჯიშია, რომელიც გვხვდება ასპინძის რაიონის სოფლებსა და აწყურის მიმდებარედ.

კლერტმაგარა მარცვალი საკმაოდ წვნიანია, ფოთლის ზედაპირზე ემჩნევა წვრილი ბურთულები, ქვედა მხარეს კი ბუსუსები.

მტევანი მოკლე ყუნწით მტკიცედაა მიმაგრებული რქაზე. მტევანი თხელმარცვლიანიადა დატოტვილი. მარცვალში 2-3 ცალი წიპწაა.

აგრობიოლოგიური დახასიათება. მესხეთის პირობებში ითვლება საგვიანო ჯიშად, მისი სავეგეტაციო პერიოდი 160-170 დღეა. კვირტი გაშლას 30 აპრილიდან იწყებს, ყვავილობას კი 10-15 ივლისამდე. ყურძენი შეთვალებას 5-10 სწეტემბრიდან იწყებს, ხოლო სრული სიმწიფის კონდიციას აღწევს 5-15 0ქტომბრამდე.

სამეურნეო ტექნოლოგიური დახასიათება. ვაზის ეს ჯიში სუსტი ზრდა-განვითარებითა და მცირე მოსავლიანობით ხასიათდება. მისი მტევანი იწონის დაახლოებით 71 გრამს, მტევანში მარცვალთა რაოდენობა საშუალოდ 70 ცალს აღწევს.

წვენის შემცველობა მარცვალში 60% ია, სექტემბრის ბოლოს დაკრეფილ ყურძნის წვენში შაქრიანობა 11,5 % მდეა, ხოლო მჟავიანობა 13-14 პრომილი.

თავი 2. მესხეთი - მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონი

2.1. მესხეთის რეგიონის ნიადაგის ტიპები

პროფ. ბ. კლოპოტოვსკის მიხედვით მესხეთში ვხვდებით შემდეგი ტიპის ნიადაგებს:

1. ტყის ყომრალი ნიადაგები (მოწითალო-მოყავისფრო შეფერვით) რომელიც მოთავსებულია ძირითადად პერიფერიულ ნაწილში, 1500-2000 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ეს ნიადაგები ვენახისათვის გამოუსადეგარია, რადგან ხასიათდება ციცაბო და ხარატიანი შემადგენლობით.
2. ტყის ყავისფერი ნიადაგები, მდებარეობს 1200- 1400 მ სიმაღლეზე და მოიცავს ადიგენისა და ახალციხის რაიონის ნაწილს. მევენახეობისათვის მნიშვნელოვანია ამ ტიპის დანალექ ქანებზე განვითარებული ნიადაგები, რომლებიც გავრცელებულია აღნიშნულ ტერიტორიაზე.
3. ტყის წაბლა ნიადაგები მდებარეობს 900 -1000 მ სიმაღლეზე და მოქცეულია მდინარე ფოცხოვის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე, ასევე ახალციხე -აწყურის რაიონში. აღნიშნულ ნიადაგებს აქვთ 60-75 სმ სიღრმის ჰუმუსი, რაც ოპტიმალურია ვაზის გასაშენებლად.
4. შავმიწა ნიადაგები გვხვდება 1300-1500 მეტრ სიმაღლეზე რომელიც ნაკლებად გამოსადეგია ვენახის გასაშენებლად, რადგან დიდ სიმაღლეზე მდებარეობს და მძიმე თიხნარი შემადგენლობა აქვს.
5. ალუვიური რუხი კარბონატული ნიადაგები თიხიანი და ქვიშიანი შემადგენლობისაა, მოთავსებულია მდინარე ქვაბლიანის გასწვრივ ადიგენისა და ახალციხის ტერიტორიაზე, ეს ნიადაგები არაა ხელსარელი სავენახედ მცირე სისქისა და ხშირ შემთხვევაში მდინარეების სიახლოვის გამო, რადგან ვაზის დაზიანებას იწვევს ტემპერატურის ძლიერი დაცემით ზამთარსა და გაზახულზე.

6. ტყის ყავისფერ და წაბლა ნიადაგებს შორის გარდამავალი ნიადაგის ტიპი, რომელიც 1000- 1300 მ სიმაღლეზე მდებარეობს და შედგება ფხვიერი, სუსტად გამკვრივებული თიხიანი და ქვიშიანი მასალისაგან.

   როგორც ბ. კლოპოტოვსკი აღნიშნავს, „ მორფოლოგიური აღწერილობა და ანალიზები გვარწმუნებს, რომ ეს ნიადაგები ხასიათდება ფხვიერი აგებულებით, მსუბუქი მექანიკური შემადგენლობით, მარცვლოვანი სტრუქტურით. ნიადაგი ჰუმუსით ღარიბია, კარბონატებით კი მდიდარი „ (კლიპოტოვსკი, 1948)

7. პროლუვიური ნიადაგები, რომელსაც აქვს თიხნარ-ხირხატიანი მექანიკური შემადგენლობა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნიადაგებში ჰუმუსი და კარბონატები მცირე რაოდენობით გვხვდება, ხელოვნური გარწყვიანების შემთხვევაში პერსპექტიულია ვაზის გასაშენებლად.

   ხელოვნური ტერასები, კულტურული ნიადაგები, მდებარეობს ხიზაბავრასა და საროში , რომელიც ამართულია 50 სართულამდე 200 მ სიმაღლეზე. ასევე შემორჩენილია სოფელ აწყურში ძველი ტერასის ნაშთები. მათზე უძველესი დროიდანვე ყოფილა ვაზი გაშენებული, აღდგენილია და დღესაც ფუნქციონირებს.

8. ხელოვნურ ტერასებზე ნიადაგს აქვს რუხი- მოჩალისფრო შეფერვა, თიხნარ-ხირხატიანი შემადგენლობით. რომელიც 4,14 % კარბონატს შეიცავს. (კლოპოტოვსკი, 1948)

ახალციხის ზონაში ნიადაგები მრავალგვარია, შესაბამისად შეგვიძლია გამოვყოთ მიკრორაიონების მიხედვით:

1. ახალციხე-წნისი- ალუვიური, წაბლა ტყის ყავისფერი ნიადაგები
2. აწყური- ტყის ყავისფერი, დელუვიური უკარბონატო ნიადაგის ტიპი სლესის ციხესთან.
3. მუგარეთის-დელუვიურ-კარბონატული

4. რუსთავის- პროლუვიური
5. ასპინძა-ოშორი - ალუვიური (ლამები)
6. ურაველი- ძველი -ალუვიური
7. ვალე-ბენარი - ალუვიური, წაბლა და ტყის ყავისფერი
8. მტკვრის მარცხენა ნაპირი- ტყის ყავისფერი (ტოლოშიდან სოფ. მუსხამდე)
9. სარო-ხიზაბავრა- ხელოვნური ტერასების კულტურული ნიადაგის ტიპი.

2.2. მესხეთის რეგიონის აგროკლიმატური დახასიათება

მესხეთი მთაგორიანი რეგიონია და თითოეული მიკროუბანი კლიმატით საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

მდებარეობისა და სავეგეტაციო პერიოდში ვაზის სითბოს უზრუნველყოფის მიხედვით შეგვიძლია სამ ზონად დავყოთ:

I. დაბლარი ზონა - 950 – 1100 მ ზღვის დონიდან
II. საშუალო ზონა - 1100 – 1200 მ
III. მაღლარი ზონა - 1200 – 1400 მ სიმაღლეზე.

ცნობილია, რომ ვაზის ნორმალური განვითარებისათვის ნალექების წლიური ჯამური მაჩვენებელი 500 მმ უნდა აღემატებოდეს, ტემპერატურის ჯამური მაჩვენებელი კი 2800 გრადუსს.

განვიხილოთ მესხეთის შემთხვევაში ნალექებისა და ტემპერატურათა მაჩვენებელი

ა. ნალექების რაოდენობა მესხეთში ვეგეტაციის პერიოდში

ცხრილი 3.

თვეები	5	6	7	8	9	სულ	წლიური
ახალციხე	80	77,8	54	27	32	270,8	550

ადიგენი	54	94	36	23	36	243	540
ასპინძა	51	75,1	46	30	21	223,1	510

ბ.ტემპერატურათა ჯამი მესხეთში ვეგეტაციის პერიოდში

ცხრილი 4.

თვეები	5	6	7	8	9	სულ	წლიური
ახალციხე	415	540	574	690	475	2622	3345
ადიგენი	362	544	540	578	381	2431	2967
ასპინძა	430	521	596	608	470	2625	3305

აღნიშნული მონაცემები არის სამი სხვადასხვა წლის საშუალო მონაცემების გამოთვლით მიღებული, საიდანაც ჩანს, რომ მესხეთის რეგიონში ნალექებისა და ტენპერატურათა მაჩვენებელი სრულიად ოპტიმალურია ვენახის ნორმალური ზრდა განვიათარებისათვის.

თავი 3. მევენახეობა-მეღვინეობა დღევანდელ მესხეთში

3.1. ახალი ტერასები და მარნები



სურათი.3.1.1.

მესხეთის რეგიონი პირდაპირ დაკავშირებულია ტერასული ტიპის მევენახეობასთან რომელიც არქაული პერიოდიდან იღებს სათავეს მესხეთის რეგიონში და უნიკალურია თავისი მნიშვნელობით, ვინაიდან მსგავსი ტიპის განაშენიანება საქართველოს არც ერთ კუთხეში არ გვხვდება.

რა არის ტერასები? როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს „მესხეთსა და შავშეთ-კლარჯეთში მთაგორიანობისა და სახმარი მიწის სიმცირის გამო მევენახეობა აქ წინანდებურად უმთავრესად ხელოვნურად ბაქან-ბაქან მოვაკებულ ნიადაგზე შენდებოდა, რომელსაც ძველად საქართველოში ოროკო ეწოდებოდა „ (ივ. ჯავახიშვილი, 1934)

მსგავსი ტიპის დაბაქანებულ ოროკოებს რომელსაც ქვის კედლები აქვს ამოშენებული დღეისათვის მესხეთში ვხვდებით 8 ლოკაციაზე, სადაც აღმოჩენილია ძველი მესხური

ვაზის ნაშთები და სადაც არც თუ ისე შორეულ წარსულში ჰყვაოდა მევენახეობის დარგი.

სურათი 3.1.2. ხიზაბავრის ტერასები

მესხეთის რეგიონში არსებული სავენახე ტერასები გვხვდება სხვადასხვა ადგილებში რომლებიც თითქმის პირვანდელი სახითაა შემორჩენილი.

აწყურის ტერასები - მდებარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტში, ზ.დ. 900 მ მდინარე მტკვრის ნაპირებზე. აქ ვხვდებით უძველეს მრავალსართულიან დაბაქანებულ ოროკოებს, სადაც შემორჩენილია მესხური ვაზის უძველესი

ჯიშები, როგორიცაა ბეჟანა, როკეთულა, ხარისთვალა.

უნწის ტერასები - მდებარეობს ადიგენის მუნიციპალიტეტში ახალციხის ქვაბულში ზ.დ. 1120 მ. გადმოცემით ვაზი ნაყოფს გასული საუკუნის 60 წლებამდე ისხამდა

ვარძიის ტერასები - მდებარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე. ადგილობრივი უხუცესების გადმოცემით ახსოვთ მათ ამ ადგილზე მსხმოიარე გაველურებული ვაზი.

ხიზაბავრის ტერასები - ახალქალაქის პლატოს დასავლეთით მდებარეობს , მდინარე ჭობარეთის სანაპიროზე, ზ.დ 1590 მ

საროს ტერასები - მდებარეობს ზ.დ. 1480 მ სიმაღლეზე. ასპინძის მუნიციპალიტეტში მდინარე მტკვრის ხეობაში.

გოგაშენის ტერასები - მდებარეობს ზ.დ 1740 მ სიმაღლეზე ახალქალაქის მუნიციპალიტეტში.არსებული ვაზის ნაშთების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ვაზი მე 19 საუკუნის მე 2 ნახევრამდე უნდა ყოფილიყო.

ჭაჭკარის ტერასები - მდებარეობს ვარძიის მიმდებარედ ძველი ნასოფლარის სახით, შემორჩენილია უძველესი ტერასული ტიპის განაშენიანება , ქლდეში ამოკვეთილი საწნახელები და ქვევრები.

მალახევის ტერასები - მდებარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტში, ძველი ნასოფლარი სახითაა დღეს წარმოდგენილი,ასევე მოიხენიებენ ბებერი ვენახების სახელითაც 1970 იანი წლების აღწერისას აქ იყო ერთი ასწლოვანი ვაზის ეგზემპლიარი.

მესხეთის რეგიონისათვის დამახასიათებელ უნიკალურ ტერასებში ჩაქსოვილი მრავალსაუკუნოვანი ისტორია საჭიროებს ახალი სულის შთაბერვას რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რეგიონისათვის. საბედნიეროდ ბოლო წლებში შეიმჩნევა იმედისმომცემი აქტივობები. კერძო ბიზნესის წარმომადგენლების მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის დაფინანსებითა და მათთან ერთად ადგილობრივი, მესხური ვაზის ჯიშების კოლექციონერის გიორგი ნათენაძის ძალისხმევით აღდგა და მოეწყო სოფელ ხიზაბავრაში არსებული მე 12 საუკუნის მეფე თამარის დროინდელი სავენახე ტერასები, თავდაპირველად მოხდა 12 ჰა ტერიტორიაზე 24 უშვიათესი

მესხური ვაზის ჯიშის გაშენება რომელიც მუდმივად ფართოვდება , ხდება ახალი ადგილობრივი ჯიშების მოძიება და განაშენიანება.

სურათი 3.1.3 ახალი ტერასული ვენახი, კომპანია „ვარძიის ტერასები“

3.2. ვაზის პერსპექტიული ჯიშები მესხეთის რეგიონისათვის

ცხრილში წარმოდგენილია მესხეთის რეგიონში ზონების მიხედვით პერსპექტიული ვაზის ჯიშები, რომლებიც შესარჩევად ჯერ კიდევ 1939 წელს მევენახეობა-მეღვინეობის კვლევითმა ინსტიტუტმა საცდელად ჩამოტანა და გააშენა.

ზონების მიხედვით საუკეთესო შედეგი აჩვენა აღნიშნულმა ჯიშებმა იხ. ცხრილი 3.2.

ზონები ზღვის დინიდან	რაიონების დასახელება	რეკომენდირებული ვაზის ჯიშები
	ახალციხის რაიონი	პინო შავი, პინო თეთრი, ალიგოტე, ჩინური,გორულიმწვანე,შავკაპიტო, თავკვერი, რქაწითელი.

დაბალი ზონა 950-1000 მ	ასპინძის რაიონი	პინო შავი,პინო თეთრი, ალიგოტე, ჩინური,რქაწითელი,გორულიმწვანე.
	ადიგენის რაიონი	პინო შავი, პინო თეთრი, ალიგოატე, ჩინური, გორული მწვანე.
	ახალციხის რაიონი	პინო შავი,პინო თეთრი, ალიგოტე, ჩინური და გორული მწვანე.
საშუალო ზონა 1000 1200 მ	ასპინძის რაიონი	რქაწითელი,პინო შავი,პინო თეთრი, ალიგოტე, ჩინური და გორული მწვანე.
	ადიგენის რაიონი	პინო შავი,პინო თეთრი, ალიგოტე, ჩინური და გორული მწვანე.
	ახალციხის რაიონი	პინო შავი,პინო თეთრი, ალიგოტე, ჩინური
მაღალი ზონა 1200-1400 მ	ასპინძის რაიონი	პინო შავი,პინო თეთრი, ალიგოტე, ჩინური
	ადიგენის რაიონი	პინო შავი,პინო თეთრი, ალიგოტე.

პროექტის წარმატებით განხორციელებაში აღსანიშნავია სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორ ლევან უჯმაჯურიძის წვლილი, რომლის ძალისხმევითაც მოხდა ადგილობრივი მეღვინის გიორგი ნათენაძის მიერ მიწოდებული მესხური ვაზის ჯიშების იდენტიფიცირება, ესენია: მესხური ცხენის ძუძუ, მესხური მწვანე, მესხური ხარისთვალა თეთრი, ხარისთვალა შავი, მესხური ჩიტისკვერცხა, მესხური ჩიტისკვერცხა , ცხენის ძუა შავი, კლარჯული, ახალციხური, შავი ასპინძურა, დანახარული, ჯვარი, თამარის ვაზი,თავცეცხლა, და სხვა.

ქალბატონ ლონდა მამასახლისაშვილის მიერ შესწავლილ იქნა მესხური ვაზის გენოფონდში შემავალი ძლიერი ზრდის, მევენახეობის ამ ზონისათვის წამყვანი შავყურძნიანი ვაზის ჯიში „საწურავი“-ს აგრობიოლოგიური თავისებურებები. შედეგები ცხადყოფს, რომ მას აქვს გავრცელების დიდი პერსპექტივა ამ მიკროზონაში (მამასახლისაშვილი ლ., 2010)

საკითხი საკმაოდ აქტუალურია და მოითხოვს სიღრმისეულ მოკვლევასა და მოძიებას. ვფიქრობ იმ უდიდესი ისტორიული წარსულიდან გამომდინარე რაც ამ რეგიონს აქვს საკმაოდ ბევრი აბორიგენული ჯიშის აღმოჩენაა შესაძლებელი, ერთგვარ პრობლემას წარმოადგენს მესხეთისა და საქართველოს უძველესი ისტორიული მხარის ტაო-კლარჯეთის სხვა ქვეყნის საზღვრებში მოქცევა, ვინაიდან საჭირო დოზით ექსპედიციები ამ მიმართულებით ვერ ტარდება, ვერ ხდება სრულად ათვისება იქ არსებული მევენახეობასთან დაკავშირებული ძველი ქართული ისტორიული კერების შესწავლა, როგორც ვიცით მეცნიერების ერთი ნაწილი მიიჩნევს , რომ ცნობილი ვაზის ჯიშები , როგორიცაა : საფერავი, ხიხვი და ოცხანური საფერე , ტაო- კლარჯეთში წარმოიშვა. ეს ჯიშები კარგად არიან ადაპტირებულნი ადგილობრივ გარემო

კლიმატთან და მესხეთის რეგიონისათვის დამახასიათებელ ყინვებთან, რაც ამ მოსაზრებას სარწმუნოს ხდის.

სხვადასხვა წყაროებით მოძიებული იმპორმაციით დღეის მდგომარეობით მოძიებული და დადასტურებულია 32 მესხური ვაზის ჯიში ესენია : სამარიობო, მესხური შავი, მესხური საფერე, მესხური მწვანე, მესხური თითა, კლარჯული, მამლითვალა, კაპნის წითელი, კლდის წითელი,ტამარის ვაზი, თამარის თვალი, კლერტმაგარა, როკეთულა, თავცეცხლა ვარდისფერი, თავდაკიდული თეთრი, ბეჟანა, ბუდეშური შავი, ბუდეშური თეთრი, ასპინძურა, ახალციხური თეთრი, ჯავახეთური, საფარულა, საწური, ჩიტისკვერცხა შავი, ჩიტისკვერცხა თეთრი, ცხენის ძუა შავი, ჩიტისთვალა შავი, ცხენისძუა თეთრი, ცხენისძუძუ თეთრი, ცხენისძუძუ შავი, ხარისთვალა თეთრი, ხარისთვალა შავი.

თავი 4. დასკვნები და რეკომენდაციები

მევენახეობა-მეღვინეობა ერთ- ერთი ყველაზე ტრადიციულად მნიშვნელოვანი და სტრატეგიული დარგია სოფლის მეურნეობისა, მრავალი თვალსაზრისით, ვინაიდან მასში აქტიურადაა ჩართული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარება ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელია .ეს გამოწვევა მოითხოვს საკმაოდ რთული და კომპლექსური ღონისძიებების გატარებას, რაც განაპირობებს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საგრძნობ გაუმჯობესებას რეგიონში. ამისათვის აუცილებელია პროცესში სიღრმისეულად ჩაერთოს ყველა კომპეტენტური მხარე, რომელსაც ძალუძს აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაში წვლილის შეტანა. აუცილებელია მთავრობის მხრიდან მაქსიმალური ყურადღება, ისევე როგორც

სამინისტროების, მეცნიერ-მუშაკების, ამ დარგის წარმომადგენლებისა და ექსპერტების თანამშრომლობა ევროპის წამყვან ქვეყვენებთან სადაც მევენახეობა-მეღვინეობა უმაღლეს დონეზეა შესწავლილი, მათი რეკომენდაციების გაცნობა და გამოცდილების გაზიარება, დანერგვა ქართულ რეალობასთან მისადაგებით.

მიზანშეწონილად მიმაჩნია, შემუშავდეს ამ რაიონებში მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებით განსაზღვრული, განვითარებისათვის აუცილებელი, ცალკეულ ღონისძიებათა შემუშავების სტრატეგია, რაც მოიცავს თითოეული მიკროზონის კომპლექსურ შესწავლას, ეკოლოგიური, ნიადაგობრივი და კლიმატური გარემოს სპეციფიური ნიშნების იდენტიფიცირებას, პრობლემური საკითხების გამოყოფასა და მათი გადაწყვეტის გზების მოძიებას.

რეგიონული ღვინის ბაზრის შესწავლა მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს, რადგან ამ პროცესში გამოკვეთილი ძირითადი საკითხები და პრობლემები იქნება რეალურად განსახილველი და გადასაჭრელი.

სამცხე-ჯავახეთში მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში წარმოების მაშტაბებისა და შესაძლებლობების განვითარებისათვის აუცილებელ პირობად მიმაჩნია, საოჯახო ტიპის მცირე მარნების განვითარების ხელშეწყობა, როგორც მთავრობის ასევევ კერძო სექტორის ჩართულობითა და თანადაფინანსებით, ამისათვის კი მთელი რიგი პრობლემებია გადასაჭრელი.

ამ მიმართულებით განვიხილავ აუცილებელ მხარეებს რომელიც მესხეთის რეგიონში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის აღორძინებას შეუწყბს ხელს: ვაზის კულტურული ჯიშების შესწავლა-დახასიათება, მესხური ვაზის თითოეული ჯიშისათვის რეკომენდირებული გავრცელებისათვის ხელსაყრელი ნიადაგების შესწავლა და ზონების მიხედვით განსაზღვრა, ღვინის დამზადების ორიგინალური მეთოდების შესწავლა დანერგვა, არსებული ძველი ტექნიკური ბაზის განახლება და გამდიდრება, ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება სწორი აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით, მოსახლეობაში

გავრცელებული ვაზის ჯიშების გამოკვლევა, მესხეთის რეგიონისათვის დამახასიათებელი ყინვისაგან დაცვის ეფექტური მეთოდების გაცნობა, ექსპედიციების მოწყობა ძველი ვაზის ჯიშების აღმოსაჩენად, გადამზადებული სპეციალისტების მიერ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ტრენინგების ჩატარებითა და ადგილზე მომსახურებით რეკომენდაციების მიცემა თითოეული მოსახლისათვის.

ფერმერული მეურნეობები რომლებიც საბჭოთა პერიოში ფუნქციონირებდა სრულიად მოშლილია, ამას ემატება სარწყავი სისტემების მოუწესრიგებლობა , მიუხედავად იმისა რომ მესხეთის რეგიონს უდიდესი პოტენციალი აქვს ამ მხრივ. თითოეული საკითხის გადაწყვეტა მნიშვნელოვნად წაადგება რეგიონში მევენახეობა-მეღვინობის დარგის აღორძინებას. მევენახეობა-მეღვინეობის აღორძინება კი რეგიონში ხელს შეუწყობს აგრო და ღვინის ტურიზმის განვითარებას, რაც დღევანდელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადია. ეს კი დამატებით ეკონომიკური სარგებელის მომტანია.

დღეისათვის მსოფლიოში ბიო დინამიური წარმოება პერსპექტიული და საკმაოდ მომგებიანი მიმართულებაა, ისევე როგორც სასუფრე ჯიშის ყურძნის. ორივე მიმართულების განვითარების პერსპექტივა აქვს რეგიონს, გამოვყოფდი მესხური ვაზის სასუფრე ჯიშებს როგორიცაა : სამარიობო რომლის სავეგეტაციო პერიოდი 140-150 დღეს მოიცავს, საადრეო ჯიშია და გამოირჩევა საუკეთესო გემოვნური თვისებებით.

ხარისთვალა რომელიც სამარიობოს მსგავსად ნაყოფის ადრეული სიმწიფით ხასიათდება და ცხენისძუძუ, ასევე ქართლის ჯიშის თითა რომელიც საკმაოდ პროდუქტიული და გავრცელეულია მესხეთის რეიონში.

ამ შემთხვევაშიც აუცილებელია ჩართულობა შესაბამისი წარმომადგენლებს მხრიდან, ძირითად პრობლემას წარმოადგენს სამაცივრე ტექნიკური საშუალებების დეფიციტი. დღეს საქართველოში მოხმარებული სასუფრე ყურძნის ძირითადი იპორტიორი სომხეთია, რადგან მათ კარგად აქვთ განვითარებული სამაცივრე

ინფრასტრუქტურა, ამით გადაჭრილი აქვთ შენახვასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემა.

წარმოდგენილი მაქვს მევენახეობა-მეღვინეების სპეციალისტის ბ.ნ დავით მაღრაძის მიერ 1985 წ ჩატარებული ვენახების საერთო აღწერის მონაცემები.

ცხრილი 6.

ვენახები	ფათობი, ჰა	%
სუფრის ყურძენი	1059	1,2
საღვინე ყურძენი	86182	98,0
სხვა	659	0,7
ჯამი	87900	100

როგორც ცხრილიდან ვხედავთ, საქართველოში წარმოებული ყურძნის საერთო მოცულობის 1,2% შედგენს სუფრის ყურძენი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცეებით 2009-2012 წლებში ყურძნის იმპორტი სომხეთიდან 40 % გაზარდა .უნდა ვივარუდოთ, რომ ეს განაპირობა ადგლობრივი წარმოების შემცრებამ და საშუალოდ მოთხოვნის მატებამ.

ვფიქრობ სწორედ ხელსაყრელი დროა მესხეთში ამ მიმართულების ასაღორძინებლად. ინვესტიციების მოძიებითა და ევროპაში აპრობირებული მეთოდების გათვალისწინებით რეგიონისათვის უმნიშვნელოვანესია ამ პროექტის განხორციელება, იგი ხელს შეუწყობს აღნიშნული დარგის განვითარებას, აამაღლებს რეგიონის ცნობადობას, შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, იქნება ერთგვარი მოტივატორი ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რომ შექმნან და აწარმოონ და განავითარონ საოჯახო მეღვინეობა, ეკონომიკური თვალსაზრისით საგრძნობლად შეცვლის სოციალურ ფონს დადებითად, ხელს შეუწყობს ტურიზმის სფეროს

განვითარებას, ქვეყანის შიგნით კი იმპორტს ჩაანაცვლებს და ექნება გათვლა ექსპორტის მიმართულებით.

მესხეთის მევენახეობის განვითარებისათვის უცილებელია გამოცდილების საფუძველზე შევიმუშავოთ მევენახეობის აგროტექნიკა, რომელიც შეესაბამება მესხეთის მთაგორიან და შდარებით მკაცრ ბუნებრივ პირობებს.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ დღეისათვის საკმაოდ მცირეა მასალა, თუ არ ჩავთლით რამოდენიმე ნაშრომს, რომლებშიც ნაწილობრივ ასახულია მესხეთის მევენახეობა-მეღვინეობის ძირითადი აგროტექნიკური საკითხები, განვითარების პერსპექტივები და რეკომენდაციები, რომელთა განხორციელება განავითარებს ამ დარგს მესხეთში.

მესხეთს მევენახეობა-მეღვნეობის მიმართულებით უდიდესი პოტენციალი გააჩნია, ამის განხორციელება კი მოითხოვს უდიდეს ძალისხმევას, როგორც ამ დარგის სპეციალისტების, ასევე მთავრობისა და კერძო ბიზნესის მხრიდან.

მესხეთის მევენახეობის აღდგენისა და განვითარებისათვის საჭიროა გამოვავლინოთ როგორც მესხეთის ძველი ვაზის მაღალპროდუქტიული და გამძლე ჯიშები, ასევე საცდელად შეირჩეს და გავრცელდეს სხვა ქართული პერსპექტიული ჯიშები რომლებიც კარგად ადაპტირებიან მესხეთის გარემო კლიმატთან.

მინდა იმედი ვიქონიო, რომ მალე დადგება დრო, როდესაც თავისი უნკალური ბუნებით, ისტორიული ძეგლების სიმრავლით, მევენახეობა-მეღვინეობის უძველესი ეგზოტიკური ტრადიციებით მდიდარი მესხეთი თავის სიტყვას იტყვის განახლებული, გათანამედროვებული ინფრასტრუქტურით და ხელსაყრელი სამეწარმეო ბიზნეს-გარემოს შექმნით. ეს კი შეუძლებელია სახელმწიფოსა და კერძო სექტორის, მეცნიერ-მკვლევართა, მეცენატთა, დაინტერესებულ პირთა ერთობლივი საქმიანობის, გადაუდებელ კომპლექსურ ღონისძიებათა გატარების გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურა

1 ვ. გოცირიძე, ა. გორდაბელიძე -„ მევენახეობა“, თბილისი, 2009, ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა

2. ლ. მამასახლისაშვილი - მესხეთში გავრცელებული შავყურძნიანი ვაზის ჯიშების შესწავლა და მათგან უკეთესის გამოვლენა.

3. ლ. მამასახლისაშვილი, ლ. ვაშაკიძე, დ. კალატოზიშვილი, ა. სარალიძე ,, მესხეთში გაცრცელებული წითელყურძნიანი ვაზის ჯიშების ზოგიერთი ქიმიურ-ტექნოლოგიური მაჩვენებელი“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე (158-160).

4. ლ. მამასახლისაშვილი, ა. სარალიძე (სსაუ) ,, მესხეთში გავრცელებული შავყურძნიანი ვაზის ჯიშების ზოგიერთი სამეურნეო-ტექნოლოგიური მაჩვენებლები“ აგრარული მეცნიერების პრობლემები, შრომათა კრებული XXXVIII, თბილისი 2004 (124-125

5. ლ.უჯმაჯურიძე,გ.კაკაბაძე, ლ. მამასახლისაშვილი „ქართული ვაზის ჯიშები“, თბილისი, 2018, გამომცემლობა „პეგასი“

6. რ. რამიშვილი „ ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია „ თბილისი, 2001

7. მ.რამიშვილი, „ამპელოგრაფია“, თბილისი, 1986, გამომცემლობა „განათლება“

8. კ. მოდებაძე - მეღვინეობა, თბილისი, 1948.

9. შ.წიქვაძე- მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები მესხეთში, თბილისი, 1958.

10. ს. ჯანაშია - ქართლის ცხოვრების ძველი და ახალი ფურცლები, მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, თბილისი 1942.

11. ც. გაბაშვილი - ვარძია, საქ. მეცნ. აკადემიის გამოცემა, თბილისი, 1948.

12. ა. ფრონელი- დიდებული მესხეთი, გამომცემლობა „ქართლი“, თბილისი, 1914.

13. ვახუშტი - გეოგრაფიული აღწერა საქართველოსი, თბილისი, 1942.

14. მ.რამიშვილი - მევენახეობის განვითარებისათვის მესხეთში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, თბილისი, 1943.

15. ივ. ჯავახიშვილი -საქართველოს ეკონომიკური ისტორია, „ფედერაცია“, თბილისი, 1934.

16. ბ. კლოპოტოვსკი - მესხეთის მევენახეობის ზონის ნიადაგები, საქ. მეცნ. აკადემიის გამოცემა, 1948.

17. დ.ტაბიძე - ვაზის ახალი ჯიშები საქართველოში, საქ. მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1954.

18. საქართველოს აგრარული მრავალფეროვნება

http://catalog.elkana.org.ge/index.php

19. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

http://www.nplg.gov.ge/

20. ღვინის ეროვნული სააგენტო

http://georgianwine.gov.ge/

21. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba

22. მეტეოროლოგიური ცენტრი

http://nea.gov.ge/ge/service/hidrometeorologia/2/hidro-meteorologia/

23. მარანი

http://vinoge.com/mevenaxeoba/sufris-yurZeni-da-qarTuli-mevenaxeoba

24. სამცხე-ჯავახეთის ტრადიციული მეღვინეობის ასოციაცია

http://meskheti.weebly.com/43294309430843164321-43284308432143044334430843 05about-us.html

25. ქართული ღვინის მრჩეველი

https://allwine.ge/ka/blog/ras-amboben-istoriuli-wyaroebi-mesxetis-venaxebze-uzveles-savenaxe-terasebze-da-mesxur-vazis-jisebze_1512/